სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 ნოემბერი 1999 №219 (992) | ფასი 50 თეთრი

4 ლოკომოტივი — მწვანე შუქი თუ ბოლო გაჩერება?

დღეს ეროვნულზე „ლოკომოტივი“ „დინამოსთან“ მოგებას შეეცდება, რათა საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი შეინარჩუნოს

5 ლიპი ლუქსემბურგოს წინააღმდეგ

რონალდო სიდნეიდან უკან გაბრუნდა

8 ბებეტო, ჩვენ შენთან ვართ!

ბრაზილიელი მექსიკიდან გაქცევას აპირებს

8 ყოჩები და დათვები ტოლ-სწორად გაიყარნენ

„ლოკომოტივმა“ კი არმიელები იოლად დაჩაგრა

დიდი ბრიტანული დერბი

UEFA EURO 2000

დღეს ესპანელი მსაჯის, მანუელ დიას ვეგას ნიშანზე გლაზგოს „ჰემპდენ პარკი“ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს წევრების, ფეხბურთში დამოუკიდებლად მოღვაწე შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებთა 109-ე დაპირისპირების მოწმე გახდება. უძველესი საერთაშორისო მეტოქეობა ახალ ფაზაშია. ამ და ოთხი დღის შემდგომი, საპასუხო მატჩების შედეგად უნდა გაირკვეს, რომელი ქვეყანა მოიპოვებს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას. სპორტული და სპორტსმიღმა მიზეზების გამო, შეხვედრას საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა. ბრიტანულ პრესაში მას „ლომგულები მამაც გულთა წინააღმდეგ“ უწოდეს.

პლეი ოფის ამბები იხილეთ მეექვსე და მეშვიდე გვერდებზე

REUTERS ბიშენ ებიდან

ალან შირერი სრულიად ინგლისს საქომაგოდ უხმობს

ამაღამ საუკუნის ამბავი გაირკვევა

ლას ვეგასში მძიმე წონის უდავო ჩემპიონი გამოცხადდება

დღეს ლას ვეგასში საუკუნის უკანასკნელი საჩემპიონო ბრძოლა გაიმართება მძიმე წონაში, ბრიტ ლენოქს ლუისსა და ამერიკელ ევანდერ ჰოლიფილდს შორის. გამარჯვებული სამივე განთქმული საკრივო დაწესებულების-საბჭოს, ასოციაციისა და ფედერაციის ქამრებს მიიღებს, რომელთაგან პირველს ბრიტი დებს სასწორზე, დანარჩენ ორს კი ამერიკელი.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

REUTERS ლას ვეგასიდან

ლენოქს ლუისი, დონ კინგი და ევანდერ ჰოლიფილდი: მატჩამდე ასე იყო. რა იქნება ამაღამ?

ხუთი წლის შემდეგ

ბურაკ დოლენჯავილის ფოტო

ნაკრების კაპიტანი საქართველოში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ოთხ თვეზე მეტია, უგუნდოდაა. მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში იწვევდა ბოსკამპი ამ ხნის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც იტალიის „რეჯანა“ სერია B-საც გამოემშვიდობა და უფრო დაქვეითდა, კაპიტანიც უგუნდოდ დარჩა — სერია C-ში მისი თამაში აღარ შეიძლებოდა.

გიორგი ნემსაძესაც ლოდინმა მოუწია. პორტუგალიაშიც ეპატიჟებოდნენ, ისევ იტალიშიც, სერია A-ს „რეჯინას“ სურდა ჩვენებურის გადაბირება, თურქული „ტრაბზონიც“ ფიქრობდა მის დაბრუნებას, ისრაელშიც ჰქონდა თამაშის შანსი... ბოლოს, ამ ერთი კვირის წინ, გია ბელგიის ჩემპიონატის ლიდერ „ანდერლეხტში“ ვარჯიშობდა, მაგრამ კვლავ თბილისში დაბრუნდა... 5 წლის შემდეგ...

ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა. სავარაუდოდ, ახალ წლამდე ნემსაძე თბილისის „ლოკომოტივში“ ითამაშებს. ბოლო დროს შეჭირვებულ რკინიგზელებს ეგებ ნაკრების კაპიტანმა მაინც უშველოს და „ა“ ზონის ოთხეულში მოხვედრაში დაეხმაროს...

— უთამაშებლობას ასე სჯობდა — გვითხრა გიამ — ვიდრე რომელიმე უცხოურ კლუბში გავაგრძელებ თამაშს, მანამდე „ლოკომოტივის“ წევრი ვიქნები. გუნდში თავად მიმიწვიეს, დროებით ჩვენთან იყავიო, მითხრეს. დავთანხმდი. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, რამდენიმე დღეს ვფიქრობდი, ყველაფერი გავითვალისწინე. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის, ბატონი აკაკი ჩხაიძის ფეხბურთის სიყვარულში დარწმუნდი, კლუბსაც თავისი ამბიციები აქვს...

— ცოტა გასაკვირიც არის. შენნაირ ფეხბურთელს ნებისმიერ ქართულ გუნდში შეუძლია თამაში. ნუთუ თავად არჩიე „დინამოს“ „ლოკომოტივი“?

— „დინამოსთან“ სიტყვიერად ვიყავი შეთანხმებული და ოდესმე თუ საქართველოში თამაშს გადავწყვეტდი, „დინამოს“ გარეშე არაფერი გამომივიდოდა. ახლაც ასე მოხდა, საქმე თითქმის გარკვეული იყო, როცა „ლოკომოტივმა“ შემომთავაზა მათ გუნდში თამაში. მერე მე, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები დავსხედით და მოვილაპარაკეთ. „დინამოს“ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ასე აღმოვჩნდი რკინიგზელთა შორის.

— როდემდე დარჩები საქართველოში?

— არ ვიცი. ზუსტად ვერ გეტყვი. როგორც კი უცხოურ კლუბში ჩემი თამაში რეალური იქნება, გუნდს მაშინვე დავტოვებ. „ლოკომოტივმა“ ეს იცის.

— აქამდეც ხომ შეგეძლო, ასე მოქცეულიყავი. უარს რომელი ქართული გუნდი გეტყოდა?

— იმედი მქონდა და ყოველდღე ველოდი თბილისიდან გამგზავრებას. ვიცადე, სანამ შემეძლო. ბოლოს, როცა ლოდინი ყელში ამომივიდა, ეს გადაწყვეტილება მივიღე.

— ძველებურ ფორმაში ხარ?

— ყოველ შემთხვევაში, ბევრიც არაფერი დამაკლო უგუნდოდ ყოფნამ. ამ ხნის განმავლობაში ნაკრებში სამჯერ ვითამაშე, თანაც ყოველდღიურად ვვარჯიშობდი.

— საქართველოდან ხუთი წლის წასული ხარ და როგორ ფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში ამაღლდა ეროვნული ჩემპიონატის დონე?

— არა...

— დაქვეითდა?

— ერთს გეტყვი, არ ამაღლებულა.

— ის თუ იცი, უახლოეს მომავალში „ლოკომოტივის“ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილის დანიშვნა რომ არის მოსალოდნელი? „დინამოში“ მთლად სასიამოვნო ურთიერთობა არ გქონდათ.

— რა პრობლემაა? ეგ ადრე იყო და ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა ერთმანეთთან ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს.

— პირველად „დინამოსთან“ ითამაშებ 13 ნოემბერს?

— კი სჯობდა, „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში პირველად სხვა გუნდს შევხვედროდი, პარტნიორებს შევეწყობოდი, მაგრამ არა უშავს, ასეა და ვერაფერს შევცვლი — 13-ში „დინამოს“ მეტოქე ვიქნები. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, ოთხეულში ვერც მოვხვდეთ. დარჩენილ მატჩებშიც მოგებას ვგეგმავთ, ცხრა ქულა უნდა ავიღოთ.

— ძნელია.

— შეგვიძლია.

— რამდენადაც ვიცი, „რეჯანას“ საკომპენსაციო თანხა ეკუთვნოდა. „ლოკომოტივმა“ რამდენი გადაიხადა?

— არაფერი. საქმე ისაა, რომ „რეჯანასგან“ მეც მეკუთვნოდა გარკვეული რაოდენობის თანხა, რის მისაღებადაც რამდენიმე დღის წინ მე და მენეჯერი ბენეში, ვინც გამიხერხა კიდეც „გრასჰოპერიდან“ იქ გადასვლა, იტალიაში ვიყავით. „რეჯანა“ ახლა ფინანსურ კრიზისშია და ამიტომაც ფული ვერ გადამიხადა. მაშინ ჩემი ვარიანტიც ვუთხარი, ჩემს სანაცვლოდ კომპენსაციასაც ნუ მოითხოვთ-მეთქი, ულტიმატუმივით გამომივიდა. „რეჯანა“ დამთანხმდა და გამანთავისუფლა. იტალიელები ვეღარაფერს მიიღებენ, ვერც მე — „რეჯანასგან“.

— ახლა ის თქვი, ბელგიის „ანდერლეხტში“ რომ ვარჯიშობდი. უკან დაბრუნების მიზეზი რა იყო?

— არასერიოზულობა. თბილისში იოჰან ბოსკამპმა დამირეკა და შემომთავაზა ბელგიაში ჩასვლა. ჩავედი და „ანდერლეხტში“ მიმიყვანა. არაფერი მითქვამს ჩემთვის სასურველ პირობებზე, ელემენტარულზეც თანახმა ვიყავი, ანდერლეხტელებმა კი გამაკვირვეს. მათთან თითქმის ერთი კვირა დავყავი და წარმოიდგინე, პირველ გუნდთან ერთად საერთოდ არ მივარჯიშია. დაგეგმილი ისიც იყო, რომ ერთხელ უნდა მეთამაშა კიდეც. თამაში არც უხსენებიათ. მე კი პატარა აღარ ვარ, მეორე გუნდში, ბავშვებში რომ მეთამაშა. თავმოყვარეობა მაქვს. დავადე თავი და იქიდან იტალიაში წავედი „რეჯანასთან“ ურთიერთობის გასარკვევად.

— სხვა გუნდებში გადასვლის შანსიც ხომ გქონდა. პორტუგალიური „სპორტინგიო“, „ტრაბზონიო“, „რეჯინიო“, ადრე თავად მითხარი. რა მოხდა?

— ვერ გეტყვი. რაღაცას ერიდებოდნენ, თუმც ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

— „რეჯანა“ საკომპენსაციოდ ბევრს ითხოვდა?

— არც ისე.

— ერთსაც გკითხავ. ახლა თუ არის რომელიმე გუნდი შენით დაინტერესებული?

— რამდენიმე. დღეს არაფერს დავაკონკრეტებ. როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ კი ყველაფერს გავამხელ.

ძოგა ინასარიძე

კახა ცხადაძე: ვიწყებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურაკ დოლენჯავილის ფოტო

სამშაბათს შესაძლოა კახა ცხადაძემ კვლავ მოირგოს ინგლისის პირველი დივიზიონის „მანჩესტერ სიტის“ მაისურა. მან მძიმე ტრავმა მოიშუშა და უკვე ათი დღეა, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. როგორც თავად გვითხრა, კახას ფორმით „სიტის“ მწვრთნელი ჯო როილი კმაყოფილი დარჩენილა, თვითონაც არაფერს უჩივის.

კახა რამდენიმე დღის წინ გერმანიაში იყო, იქაურ ექიმს გაესინჯა და მისგანაც თამაშისა და ვარჯიშის თანხმობა მიიღო. ეგაა, მკურნალს შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად ჩვენებურისთვის ნემსები გამოუწერია, ხანდახან, ყოველი შემთხვევისთვის გაიკეთეო, უთქვამს.

— ისეთი ტრავმა მქონდა, ჩემს ადგილზე ძალიან ბევრი საერთოდ დაანებებდა ფეხბურთს თავს. მარცხენა მუხლის გვერიდთა და წინა ჯვარედინი იოგების გაწყვეტა — ასეთი იყო დიაგნოზი. ახლა რომ ამ ტრავმის მიღების მომენტი მახსენდება, ტანში მაჟრიალებს. მგონი, ბედად ყველაფერი კარგად დამთავრდა და უახლოესი ტურის მატჩს თუ არა, მომავალს ნაღდად ვითამაშებ — გვითხრა კახამ, რომელსაც წელიწადზე მეტია, ფეხბურთი არ უთამაშია.

ძოგა ინასარიძე

ჯიმ სმიტი ახალ დერბის ქმნის

გიორგი ქინქლაძის სამუშაო ვიზის შესახებ ახალი არაფერია

ჯიმ სმიტი

გიორგი ქინქლაძის იჯარით აყვანის შემდეგ „დერბი ქაუნთის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა, ფაქტობრივად, კლუბის ძირეული რეფორმა წამოიწყო. ჯიმ სმიტი პანტაპუნტით უშვებს ფეხბურთელებს და მედიას ახალ ფეხბურთელებზე ესაუბრება.

ქინქლაძის კლუბში მისვლის შემდეგ „დერბი“ ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა დატოვა. დინ სტარიჯი და დანიელი მიქაელ ბეკი იჯარით მისცეს დევიდ პლატის „ნოტინგემ ფორესტს“, რომელიც პირველ დივიზიონში გამოდის. გუშინ კი სამშობლოში გაემგზავრა იტალიელი ფრანჩესკო ბაიანოკი, ისიც იჯარით წავიდა სერია B-ს ერთ-ერთ ლიდერ „ტერნანაში“.

სანაცვლოდ სმიტს ჯერ არავინ აუყვანია, ის კი არა, შეიძლება ნორვეგიელი ლარს ბოჰინენიც გაუშვას „ვალერენგაში“.

როგორც ჯიმ სმიტმა გუშინ განაცხადა, „დერბი“ კვლავ აკვირდება „გლაზგო რეინჯერსის“ ვეტერან კოლინ ჰენდრის და ეს ტრანსფერი საბოლოოდ ინგლისი-შოტლანდიის პლეი ოფის მატჩის შემდგომ გაირკვევა. ჯერჯერობით ახალი არაფერია ისლანდიის ნაკრების წევრის, გუდიონსონისა და კანადის ნაკრების მოთამაშის, უოტსონის ტრანსფერებთან დაკავშირებით.

სმიტი გუშინ გლაზგოს „სელტიკიდან“ კრეიგ ბარლის გადმოყვანაზეც ალაპარაკდა, რომელშიც 2 მილიონ გირვანქას იხდის. სმიტს ასტონ ვილელი მარკ დრეიპერიც სურს.

„დერბი“ ფრანგულ „მარსელთანაც“ აწარმოებს მოლაპარაკებებს იტალიელი ფორვარდის, ფაბრიციო რავანელის თაობაზე, თანაც ბობი რობსონს ელაპარაკება შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონის შესახებ. „ნიუკასლმა“ შოტლანდიური ფეხბურთის ამ ვარსკვლავში 8 მილიონი გირვანქა გადაიხადა და ახლა 4 მილიონად ყიდის.

არ არის გამორიცხული, რომ „დერბი ქაუნთი“ შობამდე კიდევ ორმა ფეხბურთელმა დატოვოს. „ლივერპულთან“ მატჩში ფეხი მოიტეხა იტალიელმა სტეფანო ერანიომ, რომელსაც მანამდე კონფლიქტი ჰქონდა სმიტთან და კლუბიდან წასვლაზე ისედაც ფიქრობდა. იგივე ეხება ძირითადის ფეხბურთელ პრიორსაც. მას პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი ეპატიჟება.

რაც შეეხება გიორგი ქინქლაძეს, მის შესახებ ახალი არაფერია. ინგლისის მთავრობა ჯერჯერობით აჭიანურებს ქართველი ნახევარმცველისთვის სამუშაო ვიზის გაცემას, რადგან ქინქლაძეს საქართველოს ნაკრებში ჩატარებული მატჩების 75 პროცენტი არ უგროვდება. თუმცა ჯიმ სმიტი კვლავაც ოპტიმისტურად არის განწყობილი და აცხადებს, რომ გიორგის 20 ნოემბერს „პრაიდ პარკზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშის უფლება ექნება.

სიმონ მენაბდე

განთიადს ფედერაციაში დაიბარებენ

ამ დღეებში რეგიონალური ლიგის ხუთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. წესით და რიგით, ექვსი მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ „ცხუმი“ — „თორის“ თამაში კვლავ გადაიდო. მიზეზი საპატიოა.

ორშაბათს ტრაგიკულად დაიღუპა „ცხუმის“ მეკარე, 21 წლის მიხეილ არეშიძე. ამის გამო ცხუმელებმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართეს, იქნებ ბორჯომელებთან მოგვიანებით გვათამაშოთო. ფედერაციამაც გაითვალისწინა „ცხუმის“ მდგომარეობა და მატჩი კვლავ გადაიტანა.

უინციდენტოდ, როგორც ბოლო დროს ხდება ხოლმე, არც ამ შეხვედრებს ჩაუვლია. აღმოსავლეთის „ა“ ზონის ცენტრალურ მატჩში მეორე ადგილზე მყოფმა „ცხინვალმა“ გორში (სწორედ აქ ატარებენ ცხინვალელები საშინაო შეხვედრებს) ლიდერ კასპის „განთიადს“ 4:1 მოუგო და ცხრილში ადგილი გაუცვალა. ამ მატჩის მთავარმა მსაჯმა ალექსანდრე შილაკაძემ „განთიადს“ ორი ფეხბურთელი გაუძევა, რასაც მცირე ექსცესი მოჰყვა. „განთიადის“ საქმეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტი უახლოეს სხდომაზევე განიხილავს.

რეგიონალური ლიგა

აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

VIII ტურის

გამოტოვებული მატჩი

ცხინვალი 4:1 განთიადი

„ბ“ ზონა

VIII ტურის

გამოტოვებული მატჩები

ალაზანი 1:2 ზოოვეტი

ლოკომოტივი 2 1:0 აკადემია

დასავლეთი

„ა“ ზონა

VIII ტურის

გამოტოვებული მატჩები

მარგვეთი 3:1 მეშახტე

ოკეანე 3:0 გაგრა

გოლიათი მომავლიდან

საქართველოს ეროვნული ნაკრების ცუდ ყოფაზე არაერთი თქმულა და დაწერილა. ქვეყნის უპირველესი ნაკრები თითქმის ყველა გუნდისთვის ისეთ ბარაქიან ძროხად იქცა, რომელიც მშვიდად, უპრეტენზიოდ ელის მწველავს, ნაკრებმა წაავო ყველაფერი, რისი წაგებაც ფეხბურთში შეიძლებოდა.

მიზეზად არაერთი მაგალითი მოუყვანიათ — ზოგი უფულობას უჩივის, ზოგიც არაკომპეტენტურ მწვრთნელებს აბრალებს ბოლო დროს შემთხვეულ დამარცხებებს. არიან ისეთებიც, რომლებიც „უნიჭო" თაობის დამთრგუნავ მომენტებს ხედავენ. ის კი ავიწყდებათ, რომ გაცილებით უნიჭო და უპერსპექტივო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები გაცილებით საზრიან ფეხბურთს თამაშობენ.

ეროვნულ ნაკრებში არ არის რგოლი, რომელსაც სრულყოფილი დაერქმეოდა. დაცვა დაცვას არ ჰგავს, ნახევარდაცვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამათ გარეშე კი თავდასხმას რა ფასიც აქვს, კარგად მოვეხსენებათ.

იმათ კიდევ რაღაცას მოუხერხებდა კაცი, მაგრამ როგორ გინდა მეკარის პრობლემა გადაჭრა. დღეს საქართველოში ვერ მოიძიებთ მეკარეს, საშუალო დონისა ეთქმოდესო — ბევრგან მოისმენთ მსგავს გამონათქვამებს.

თითქმის დაუჯერებელია, თემურ სტეფანიას, ოთარ გაბელიას, სერგო კოტრიკაძის და სხვათა ქვეყანაში არ იზრდებოდეს ორი, თუნდაც ერთი საშუალო კლასის მეკარე.

იქნებ პრობლემა არასწორ სელექციაში და მერე მათ არასწორ წვრთნაშია საძიებელი. არც არავის გაუკვირდეს, საქმის მცოდნე სპეციალისტები საქართველოში ძალიან ცოტაა, აქედან კი უმრავლესობა უმუშევარია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ განსვენებული პრეზიდენტი, ცხონებული ნოდარ ახალკაცი ჯერ კიდევ 90-იანების დასაწყისში ამბობდა მწვრთნელთა გასაგონად — ფეხბურთში საშუალო სიმაღლის მეკარეთა დროება წარსულს ჩაბარდა, მაღალი და ათლეტური მეკარეები ეძებეთ, თუ საჭირო გახდა, ახალგაზრდა კაცი კალათბურთიდან მოიყვანეთო. დრომ დაგვანახვა, რომ ქართველმა მწვრთნელებმა მაინცდამაინც ვერ ივარგეს, ნოდარ ახალკაცის გზას და ნაფიქრალს კი ჯერჯერობით ერთი მათგანიღა მიჰყვება, რომელიც გაუგებარია რატომ, მაგრამ დღეს უმუშევარია.

დავით მამარდაშვილი

გადრი კეთილაძის ფოტო

მეკარე, თანაც კარგი, ერთ თვეში, თუნდაც ერთ წელიწადში არ იზრდება. მწვრთნელმა ჯერ ხალასი მასალა უნდა აღმოაჩინოს, მერე კი შეგირდთან ერთად გვარიანი წვალება და ოფლისღვრაც მოუწევს და ზემოთ აღნიშნული პრობლემაც მერე გადაიჭრება.

მეკარეებისთვის თავდაუზოგავი შრომის გარდა სათამაშო პრაქტიკაც აუცილებელზე აუცილებელია. ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე ვერ გაიზრდება. ჩვენში ხომ ყველაფერი უკუღმა ხდება, არიან ნიჭიერი, თანამედროვე ტიპის ახალგაზრდა მეკარეები, მაგრამ მათგან ერთი-ორი თუა საქმით დაკავებული. დანარჩენები მხოლოდ ვარჯიშითღა შემოიფარგლებიან. ეს კი მომაკვდინებელია ახალგაზრდა მეკარისთვის.

რამდენიმე ხნის წინ „სარბიელმა" მომავლის ექვსი ქართველი მეკარე წარმოგიდგინათ. მათგან სათამაშო პრაქტიკა დავით ხმელიძეს („უემჩუჟინას" ახალგაზრდული გუნდი) და მირზა მერლანს (თსუ) გააჩნიათ და თავიანთ გუნდებში თითქმის შეუცვლელები არიან. სერგო ჭურაძე („ვიტ ჯორჯია") და დავით ასლანაძე (ლოკომოტივი) ტრავმირებულები გახლავან, ხოლო გიორგი ლომაია („დინამო") და ზურაბ ბათიაშვილი („თბილისი") პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ თამაშობენ.

გვინდა, დღეს კიდევ ერთი ახალგაზრდა მეკარე წარმოგიდგინოთ, რომელმაც, ჩვენი აზრით, საშუალოზე მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს. ის ბიჭი „ვიტ ჯორჯიას" დავით მამარდაშვილი გახლავთ.

მის მონაცემებში ეჭვი არავის არასდროს შეპარვია, თუმცა თავის გამოჩენის საშუალებაც თითქმის არასდროს ჰქონია. თანაგუნდელები ხუმრობით მარადმწვანე დუბლიორსაც ეძახდნენ.

მაღალი, ათლეტურად და ფიზიკურად კარგად მომზადებული. მუდამ ჩაფიქრებული, ნაღვლიანი თვალებით. ასეთი მახსენდება დავით მამარდაშვილი მეთერთმეტე ეროვნულის დასაწყისში. მუდამ მიკვირდა, რატომ არ თამაშობდა (ან არ ათამაშებდნენ) დათოს მწვრთნელები, მაგრამ უფრო მეტად საკვირველი ის იყო, საიდან პოულობდა ძალას, ამდენი უიღბლობისა და იმედგაცრუების შემდეგ ფეხბურთში დარჩენილიყო.

უთამაშებლობით გაწვალებულს შიშიანობა დასჩემდა. საჯარიმოს კონტროლს ვერ ახერხებდა, ხშირად მარტივ სიტუაციებში ცდებოდა. ერთი ხანობა, „ვიტ ჯორჯიას" მესვეურები მისი შემცვლელის ძებნასაც შეუდგნენ, მაგრამ...

ის იმ კატეგორიის ადამიანებს არ განეკუთვნება, რომლებიც პირველი წაფორხილებისთანავე ბედს ურიგდება და ბრძოლას წყვეტს.

თავის შანსს მოთმინებით ელოდა, ცხოვრებამ ასწავლა, გასაჭირს მშვიდად შეხვედროდა. რკინისებური ნერვები და უტეხი ნებისყოფა. აი, დათოს უდიდესი საიდუმლო, რომელმაც თავდაუზოგავ შრომასთან ერთად დუბლიორობიდან ძირითად მეკარეობამდე აამაღლა.

სერგო ჭურაძეს ხელის ტრავმა რომ არ მიეღო, ალბათ, მამარდაშვილი ჩემპიონატის პირველ ეტაპს უთამაშებლად ჩაამთავრებდა. დარწმუნებული ვარ, ამისოვისაც მზად იქნებოდა. ლოდინსაც ცხოვრებამ მიაჩვია.

ახლა „ვიტ ჯორჯიას" ორი სრულფასოვანი და ძლიერი მეკარე მყავს, სერგო კოტრიკაძეს ეკ ამათგან უკეთესის შერჩევა გაუჭირდება.

კარგი რეაქცია, მოქნილობა, სიმშვიდე და სათამაშო სიტუაციებში სწორად და სწრაფად გარკვევა — აი, ეს გახლავთ მამარდაშვილის კოზირი. კარის ხაზზე, ფაქტობრივად, შეუცდომლად თამაშობს. ბოლნისში „სიონთან" და მცხეთაში „ბათუმთან" ისეთი დარტყმები მოიგერია, გაცილებით მაღალი კლასისა და გამოცდილების მქონე მეკარეებს შეშურდებოდათ.

ნაკლად ფეხით და გამოსვლებზე თამაში ჩავუთვალოთ. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მის არსენალში არსებული ეს ორი კომპონენტი დასახვეწია.

რა და როგორი ხიფათიც არ უნდა შეიქმნას მის კართან, ის მაინც აუღელვებელი, თავის თავში დარწმუნებული რჩება, თავდამსხმელის არანაირ „პროვოკაციას" არ აჰყვება. ასეთი მეკარეები იქით უშლიან ნერვებს მომხვდურებს, აიძულებენ, შეცდომა დაუშვან.

დღესაც მახსოვს, თემურ ტუღუშის ორიოდ მეტრიდან უძლიერესად დარტყმული და დავით მამარდაშვილის სასწაულებრივად მოგერიებული ბურთი კუთხურზე რომ გადავარდა. ტუღუშმა თავზე წაივლო ხელი, ტრიბუნაზე „ბათუმის" ერთ-ერთმა ქომაგმა სიმწრით წამოიძახა — ეს დანაშაულია, მეკარე ასეთ დარტყმებს არ უნდა იგერიებდესო.

მამარდაშვილი დღეს ემადლიერება კლუბის პრეზიდენტს, მწვრთნელებს, თანაგუნდელებს. მას ადროვეს, მხარი დაუჭირეს, გაამხნევეს, ენდნენ და მან გაამართლა.

ამასთან ერთად, მაგრამ განსაკუთრებით, ალბათ, ვეფხია გვენცაძის დამსახურებაც დიდია. მწვრთნელმა შეგირდი კრიზისიდან გამოიყვანა, ფსიქოლოგიური ბარიერი დაამლევინა.

ის ახლაც სულ ჩაფიქრებულია. თითქმის არასოდეს იცინის. ზოგჯერ ზედმეტად სერიოზულიც გეგონებათ. მაღალი, ათლეტური გოლიათი ბავშვური იერით.

ახლა მისი სჯერათ. დათო მეკარეა, მომავლის მეკარე.

მამუკა კვანტალიანი

ილია კოკაია: რეპუტაციას ვერ შევილიხავ

„მოლდოვა — გაზისგან" მიტოვებულ მოლდოვას ჩემპიონატში, რომელსაც ათი გუნდიღა შემორჩა, „შერიფი" გაბატონდა. ეს გუნდი კი ჩვენთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ მასში სამი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. „შერიფი" პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დამაჯერებლად ლიდერობს სატურნირო ცხრილში და მეორეადგილოსან „კონსტრუქტორულს" ერთშაბად 8 ქულით უსწრებს. ვაჟა თარხნიშვილს, გიორგი რევაზიშვილს და დავით მუჯირს — ქართველ შერიფელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ამბიციური და ევროტურნირებზე ხმაურიანად გაჭრის მსურველი გუნდის შიდასაჩემპიონატო წარმატებებში. თუ ჩვენ გეგმაზომიერად ვიარეთ, სულ მალე ევროპას კიევის „დინამოს" დავავიწყებთ — იქადნებიან თურმე მოლდოველები. ძნელი სათქმელია, გეგმაზომიერ სვლაში ისინი რას გულისხმობენ, სად უკრაინა და სად მოლდოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, იციან თავიანთი საქმის, ჩვენ კი ჩვენი იქაური ქართველების ამბავი ვიკითხოთ.

რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, რომ მოსალოდნელი იყო, მოლდოვურ კლუბს კიდევ ერთი ქართველი დაკავშირებოდა — ზაზა ზირაქიშვილი. ამ კლუბში თანამშრომლობს ფიფას ლიცენზირებული ქართველი აგენტი ილია კოკაია და მოლდოვური ამბების გასაგებად მას გერმანიაში დავუკავშირდით.



გადრი კეთილაძის ფოტო

— თარხნიშვილი და რევაზიშვილი როგორ არიან?

— თარხნიშვილი გუნდის სული და გულია. ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობს და იქნებ მის კონტრაქტს (ამ ფეხბურთელს ერთი წელი დარჩა „შერიფში" სათამაშო) გადავხედოთ კიდეც, რაც შეეხება რევაზიშვილს, ვთვლი, რომ ის საჭირო შენაძენი იყო „შერიფისთვის". მისით ყველა კმაყოფილია, მაგრამ ამას წინათ მცირე ტრავმა მიიღო და კლუბში საოცრად დიდი კონკურენციის შედეგად ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, თუმც თავისი მინდობებლად ჩაამთავრებდა.

— ზირაქიშვილის „შერიფში" გადასვლა გამოირიცხა. ზაზა მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელია, დიდი პოტენციალი აქვს და მისით სერიოზულად ვიყავით დაინტერესებული. ჩავიყვანეთ კიდეც მოლდოვაში, მაგრამ მწვრთნელებს მისი ფიზიკური კონდიციები ერთობ არადამაკმაყოფილებელი ეჩვენათ. ამის გარეშე კი ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მოხვდება „შერიფში". განა ზირაქიშვილის ბრალია, რომ ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გიმეორებთ ზაზა დიდი შესაძლებლობების ფეხბურთელია, მაგრამ იგი სათანადო დონეზე იმიტომ არ იყო მზად, რომ ცუდ გარემოში უწევს ყოფნა. ცუდ გარემოს კი ქართულ ფეხბურთში გამეფებული სიტუაცია განაპირობებს. ამიტომ ზირაქიშვილის ტრანსფერი ჩაიშალა და იგი ისევ თბილისში დაბრუნდა.

— კი მაგრამ, ასეთი რა დონეა მოლდოვაში, რომ ნიჭიერ და დიდი პოტენციალის მქონე ქართველ ფეხბურთელს იწუნებენ?

— იქ ხალხი მუშაობს და სწორი მიმართულება აქვთ აღებული. სათანადო ფიზიკური კონდიციების გარეშე პრაქტიკულად მიზერულია ფეხბურთელის შანსი. რა თქმა უნდა, მტკივნეულია, ქართველები მოლდოველების დასაწუნი რომ გავხდით, მაგრამ ეს მწარე რეალობაა. დღეს, სამწუხაროდ, ისეთი საფეხბურთო ქვეყნებშიც კი, როგორიც მოლდოვაა, ძნელად დამკვიდრდება ჩვენებური ფეხბურთელი. დავით მუჯირის მაგალითს გეტყვით, ყველასთვის ცნობილია მისი შესაძლებლობები, მაგრამ უჭირს „შერიფის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, რადგან ფიზიკურად მოისუსტებს, მაგრამ ამ ფეხბურთელთან შეიძლება მუშაობა და მუშაობენ კიდეც.

— რამდენადაც ვიცით, „შერიფის" ყოფილ ქართველ ფეხბურთელს, დიმიტრი არსოშვილს დღესაც აყავშირებს მოლდოვურ კლუბთან კონტრაქტი. ვინმეს ხომ არ მოუმართავს მის თაობაზე?

— არსოშვილი „შერიფის" კუთვნილებაა. ამ ფეხბურთელით თბილისის „ლოკომოტივია" დაინტერესებული და ცოტა ხნის წინ მქონდა კიდეც საუბარი რკინიგზელებთან. „ლოკომოტივი" თუ მოინდომებს, ტრანსფერს არ დავუყოვნებთ და ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდება.

— შერიფს" რა გეგმები აქვს?

— პირველ რიგში მწვრთნელს ვეძებთ. როგორც იცით, სერგეი ბოროვსკიმ გუნდი დატოვა, არ არის გამორიცხული, გუნდს უცხოელი სპეციალისტი ჩაუდგეს სათავეში. ყოველივე მალე გადაწყდება.

— ქართველ ფეხბურთელს თუ ეძებთ კიდევ „შერიფისთვის"?

— მითხარით, ვინ წავიყვანო. რეპუტაციას ხომ არ შევილახავ. ჩემი ინფორმაციით, „დინამოს" — ქვეყნის უპირველესი კლუბის ფეხბურთელები ნახევარჯერ უვარჯიშებელნი გადიან თამაშებზე. აგერ, ფინანსური გაჭირვებაც ჰქონიათ, ასე ვაპირებთ ქართული ფეხბურთის შენებას? „დინამოდან" რომ ფეხბურთელს ვერ წაიყვან მოლდოვაში სათამაშოდ, საქმეა ეს? როდემდე უნდა გაგრძელდეს სრული ქაოსი ქართულ ფეხბურთში?

ამ კითხვაზე ჩვენც დიდი ხანია, ვითხოვთ პასუხს, მაგრამ გამკითხავმოპასუხე ჯერ არ შეგვხვედრია.

ბაატა კვანტალიანი

მეორე ეტაპზე ვერც ერთი გუნდი გავა

ძვირფასო მკითხველო, ჩვენ არც ისე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, რომ გული მთლიანად გადაგიშალოთ და გითხრათ, ვის მივეცი ხმა წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ არც ისეა საქმე, ზოგიერთი პარლამენტარივით პირი ავიკერო და რაღაც-რაღაცეები (ზოგი მნიშვნელოვანი, ზოგიც უმნიშვნელო) არ გაგიმხილოთ.

ჰოდა, ამ ჯერზე ერთ რამეს გაგიმხელთ. მე, ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდისგან განსხვავებით, კოლეგიალობის გრძნობა ძლიერ მაქვს განვითარებული და როცა სხვადასხვა პარტიების სარეკლამო პროსპექტების კითხვისგან მოვიცლი, ზოგჯერ სარბიელელი კოლეგების ნაწერებსაც ვკითხულობ. წავიკითხე, მომეწონა ერთ-ერთი მათგანი და შთაბეჭდილებებით დატვირთულს ისეთი რამები მესტუმრნენ თავში... თუმცა მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის შეხვედრებს გადავავლოთ თვალი და ისეთ რამეებს ვიწინასწარმეტყველებ, ნამდვილად მომემატება თქვენს თვალში ფასი.

მეთორმეტე ტური ის ტურია, სადაც წესით ბევრი რამე უნდა გარკვეულიყო, ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივის“ ბედი ნამდვილად გადაწყდებოდა (თუ „დინამოსთან“ წააგებდა), მაგრამ საქმეში ხართ? წუხელ ღამით ტიბეტელი სულები მესტუმრნენ (ესეც ერთი საიდუმლო) და იმგვარი რამები მითხრეს, „სარბიელში“ ჩემს ზურგს უკან გაკრულ მარადონას პლაკატზე (კიდევ საიდუმლო) თმები ყალყზე დაუდგა.

მაშ ასე, დავიწყოთ „ა“ ზონის ლიდერი გუნდებით, ტურის ცენტრალური მატჩით, თვალი გადავავლოთ სათაურს, ტიბეტელი სულებიც გავიხსენოთ და მერე ყველაფერი „ტრიფონიას პარავოზივით“ წაჩიქჩიქდება.

ტურის ცენტრალური შეხვედრის გამართვას აზრი ეკარგება. რადგან, როგორც სათაურშია ნათქვამი, ვერც „დინამო“, ვერც „ლოკომოტივი“ მეორე ეტაპზე ვერ გავლენ. არგუმენტები? იმდენს მოგახსენებთ, ყველა ქართული ლოკომოტივი ვერ ზიდავს ერთად.

დავიწყოთ „დინამოთი“. ცუდადაა მარადი ჩემპიონის საქმე. ერთი ამბავი რომ ატყდა, დიღმის ბაზაზე ცხვარი დაიკლა, ჰაი და ჰუიო, ბოლოს და ბოლოს გაირკვა სიმართლე — ის ცხვარი ჯერაც ცოცხალი ყოფილა. ვინ მითხრა? მეორედ არ დამისვათ ასეთი შეკითხვა, ტიბეტელებმა-მეთქი, ხომ გითხარით. ჰოდა, ამუშავდა თუ არა მამაზეციერის კანცელარია (ჩვენი საპარლამენტო არჩევნების გამო იყო შეჩერებული), მივიდა ინფორმაცია, სადაც ჯერ არს და ერთ, ჰა-ჰა, ორ დღეში „დინამოს“ ფიქტიური მკვლელობისთვის გათამაშებიდან მოხსნიან.

უარესი მოუვა „ლოკომოტივს“. მოგეხსენებათ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გაჩერების წინაშეა, ჯართის ჩამბარებლებს ფულს ვერ უხდიან და ჯართით მომარაგება შეუწყდათ. როგორ გგონიათ, რა მოხდება?

რა მოხდება და „ლოკომოტივს“ დაშლიან და ჯართად ჩააბარებენ.

„სამგურალი“ — „ბათუმი“. ამათგან „ბათუმს“ უნდა მეორე ეტაპზე გასვლა. ვერ გავა, ეყოთ მაგათ. ბოლოს და ბოლოს, მიაკვლია ხარისხის ინსპექციამ, საიდან ჩნდებოდა ქართულ სასურსათო ბაზარზე უხარისხო „ბუბლიკები“. თურმე „ბათუმიდან“ და ამდენი 0:0-იც თვითრეკლამა ყოფილა, მეტი არაფერი. „ბათუმს“ და მის იტალიელ საამქროს უფროსს, ჯანი კარნევალეს მალე გადასცემენ „სადაც ჯერ არს“. „სამგურალს“ კი გინდა მოუგონ (ასეც იქნება, ალბათ), გინდ არა, დათვლილია საათები.

„ვიტ ჯორჯია“ — „თბილისი“. ფალბისმქნელობისთვის არც ვეტერინარებს დადგებათ კარგი დღე. სინამდვილეში მათი გვარ-სახელი „ფირმა“ „ვიტ ჯორჯია“ კი არა, ქართულ-ქალაქური „თეთრ გიორგა“ ყოფილა და „პასპორტის გაყალბებისთვის“ რაც მოუვათ, მალე ვნახავთ. ისე კი, „თბილისს“ მოუგებენ, აბა, რას იზამენ — ძალა მათ ხელშია და ფინანსური ბერკეტები (სმკ-ს გვანან).

„ხობი“ — „დილა“. ამათგან „დილას“ გააჩნია მეორე ეტაპზე გასვლის შანსი. მაგრამ... არაო, იჩემებენ ტიბეტელი სულები. მაგათაც ცუდად აქვთ საქმეო. მინდორზე არ იხარჯებიანო. თავს არ იკლავენო, როცა უნდათ, იგებენ, როცა უნდათ, არაო, აკი „ჯუნგლებმაც“ უგანესო და ბოლოს მთავარი — უახლოეს დღეებში „დილას“ სტადიონს იყიდის ბლოკი „დიდ-გორი“ (ნომერი 5) და რახან შვიდ პროცენტს ვერ ეყო, გორში „ცენტრალურზე“ გამართავს ფასიან მიტინგებს ოპოზიციურ საწყისებზე. ასე შეიწირავს პოლიტიკა „დილას“ სამეორეეტაპო ამბიციებს.

„კოლხეთი“ — „მერანი“. კი ჰგონიათ ფოთელებს თავი ქუდში, მაგრამ... სადაც საჭიროა, უკვე იციან მათი მუხანათობის ამბავი. „საქმესაც“ შეადგენენ მალე ფოთის „კოლხეთის“, როგორც გამომძალველის შესახებ. მაშ, რა ეგონათ, მეზობელ ხობს რომ სახელი გამოსძალეს? „კოლხეთელობაზე“ (თუ „კოლხეთობაზე“) თავს დებენ და „მეზობელო კარისაო“, მაინც არ გაუგონიათ? თუ არა, აწი გაიგებენ, მეორე ეტაპიდან რომ გამოაძუნძულებენ.

„არსენალი“ — „სიონი“. „სიონი“ ორ ცეცხლს შუაა. თუკი „ისანზე“ ძლევამოსილ ქართულ არმიას გადაურჩა, კრიმინალური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას ვერ ასცდება — აბა, რა ეგონათ ბოლნისელებს, სფუს და მის ბანკს „კუკლა“ რომ ჩაუწყვეს და ყალბი კუპიურები შეაპარეს? გასკდა ეს საქმეც და აწი რა როგორ იქნება, თავადაც მიხვდებით.

„ტორპედო“ — თსუ. თსუ-თი დავიწყოთ. ვერსად ვერ გავა ეგ, ვერც მეორე და ვერც მეოთხე ეტაპზე. ახლა სესიების დრო დგება, წიგნი გადაშალონ და „შეტენილ“ საგნებს მიხედონ. ბურთს სხვებიც ითამაშებენ როგორმე.

„ტორპედოს“ კი ყველაზე დიდი სასჯელი ელის — მის წინააღმდეგ მასები აღდგებიან. ეს ბენზინი, დიზელი და ნავთი რომ გაძვირდა და მათი ფასები „ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს“, „ტორპედოს“ სპონსორი „არგომარონილი“ რას ფიქრობს, ნეტავ? ისე, მაგათ ეკონომიკური დივერსიისთვის პასუხისგება რად უნდათ, „მერანის“ ცოდვა არ გაახარებთ. საწვავის სიძვირის პირობებში ხალხი მანქანებს მიატოვებს და ურმებით და დილიჟანსებით ივლის. ამის მერე საფეხბურთოდ ეცლება „მერანს“?

დაბოლოს, „გორდა“ — „იბერია“. ამათ წინასწარმეტყველება და რაიმეს მოძებნა რად უნდათ, მაინც ვერ გავლენ მეორე ეტაპზე.

აი, ბატონო, ეს ჩამბიბულბულეს ტიბეტელებმა. მოსაწონი ცოტაა, გულდასაწყვეტი ბევრი, ეგებ ვიღაცას ეწყინოს კიდეც, მაგრამ მე რა შუაში ვარ...

ტიბეტელმა სულებმა მითხრეს ასე.

კონსტანტინე გოგიშვილი

„დინამო“ — „ლოკომოტივი“ 4:0. მიხეილ აშვეთიას შეტევას გიორგი ბალაშვილი იგერიებს

გოლბარდირები

10 - აშვეთია	*დინამო*
იოანანიძე	*ტორპედო*
9 - ალექსიძე	*დინამო*
7 - მეგრელაძე	*ტორპედო*
6 - გ. ქორიძე	*ვიტ ჯორჯია*
ლ. მელქაძე	*თბილისი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. „ეროვნული“. 13 ნოემბერი. 15 საათი.

ლოკომოტივი — დინამო

მსაჯები: გ. ასკაროელი (ქარელი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

რუსთავი. „ფოლადი“. 13 ნოემბერი. 15 საათი

გორდა — იბერია

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), ა. ორდინიძე (ონი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

წყალტუბო. „26 მაისი“ 13 ნოემბერი. 15 საათი

სამგურალი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ქიათურა); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

ხობი. „კოლხეთი“. 13 ნოემბერი. 15 საათი

ხობი — დილა

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. „ისანი“. 13 ნოემბერი. 15 საათი

არსენალი — სიონი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

ფოთი. „ფაზისი“. 13 ნოემბერი. 15 საათი

კოლხეთი — მერანი

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ქუთაისი. „ტორპედო“. 13 ნოემბერი. 15 საათი

ტორპედო — თსუ

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ერქვანია (სოხუმი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

მცხეთა. „არმაზი“. 14 ნოემბერი. 15 საათი

ვიტ ჯორჯია — თბილისი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ანიაშვილი (გორი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო	11	8	1	2	26:9	17	25	6	5	1	0	17:5	12	16	5	3	0	2	9:4	5	9
2 ვიტ ჯორჯია	11	5	3	3	14:10	4	18	5	3	1	1	9:3	6	10	6	2	2	2	5:7	-2	8
3 სიონი	11	5	3	3	11:12	-1	18	6	3	3	0	6:2	4	12	5	2	0	3	5:10	-5	6
4 ბათუმი	11	4	6	1	10:4	6	18	6	4	2	0	8:1	7	14	5	0	4	1	2:3	-1	4
5 ლოკომოტივი	11	4	2	5	15:16	-1	14	5	2	2	1	6:4	2	8	6	2	0	4	9:12	-3	6
6 თბილისი	11	3	3	5	20:25	-5	12	6	3	1	2	14:15	-1	10	5	0	2	3	6:10	-4	2
7 არსენალი	11	2	3	6	10:17	-7	9	5	2	1	2	6:8	-2	7	6	0	2	4	4:9	-5	2
8 სამგურალი	11	2	1	8	7:20	-13	7	5	2	0	3	3:6	-3	6	6	0	1	5	4:14	-10	1

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	11	10	1	0	30:5	25	31	5	4	1	0	15:4	11	13	6	6	0	0	15:1	14	18
2 კოლხეთი	11	7	0	4	16:12	4	21	5	4	0	1	9:3	6	12	6	3	0	3	7:9	-2	9
3 დილა	11	4	2	5	12:18	-6	14	6	3	1	2	8:8	0	10	5	1	1	3	4:10	-6	4
4 თსუ	11	3	4	4	9:10	-1	13	6	2	1	3	6:7	-1	7	5	1	3	1	3:3	0	6
5 იბერია	11	3	3	5	6:15	-9	12	6	3	1	2	5:6	-1	10	5	0	2	3	1:9	-8	2
6 მერანი	11	2	6	3	10:10	0	12	6	1	3	2	5:5	0	6	5	1	3	1	5:5	0	6
7 გორდა	11	3	1	7	9:15	-6	10	5	2	1	2	6:4	2	7	6	1	0	5	3:11	-8	3
8 ხობი	11	2	3	6	13:20	-7	9	5	1	2	2	7:7	0	5	6	1	1	4	6:13	-7	4

ლიპი ლუქსემბურგოს წინააღმდეგ

რონალდო სიდნეიდან უკან გაბრუნდა

მომავალ კვირაში ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები ავსტრალიასთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრები სიდნეიში და მელბურნში გაიმართება. ბრაზილიელთათვის ეს თამაშები მზადების ბოლო ეტაპი იქნება. იანვარ-თებერვალში ისინი ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან. ადრე გაუნყეთ, რომ ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდში რონალდო ითამაშებდა. ეს ფაქტი მატჩებისადმი ინტერესს ერთიორად ზრდიდა.

ბრაზილიელები პარასკევს სიდნეიში ჩაფრინდნენ. აეროპორტშივე რონალდოს ადგილობრივ გულშემატკივართა მცირე ჯგუფი დახვდა და ავტოგრაფი მოსთხოვა. ბრაზილიელიც არ დაზარდა. თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ... მოულოდნელი რამ მოხდა: „ინტერმა“ გამოაცხადა, რონალდომ პირველ შეხვედრაში ითამაშოს, მეორეში კი ნურას უკაცრავად — იტალიაში დაბრუნდესო. თავიანთი მოთხოვნისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ფიფას მიმართა, ჩვენი მოთხოვნის სამართლიანობა დაადასტურეთო. ფიფას დახმარება არც სჭირდებათ, ისედაც მართლები არიან. საქმე ისაა, რომ წლეულს რონალდოს ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ექვსი თამაში უკვე გაუმართავს. ფიფას წესების თანახმად, ნაკრებს სეზონის განმავლობაში კლუბის ნებართვის გარეშე ერთი ფეხბურთელის მხოლოდ შვიდჯერ მიწვევა შეუძლია. ამის შემდეგ კი კლუბის წერილობითი ნებართვაა საჭირო. სიდნეიში პირველ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ რონალდოს შვიდმატჩიანი ლიმიტი ამოეწურება. მერვე თამაშის ჩატარებაზე „ინტერი“ რონალდოს კატეგორიულ უარს ეუბნება. შედეგად რონალდომ ამხელა გზა იმიტომ გაიარა, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყო. იგი პირველ თამაშშიც არ გამოვა. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ასე განმარტა: „ვიმედოვნებდით, რომ რონალდო ახალგაზრდულ ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაში დაეხმარებოდა. მხოლოდ ერთ თამაშში მის მონაწილეობას კი აზრი არა აქვს. სამწუხაროა, რომ „ინტერმა“ კეთილი ნება არ გამოიჩინა. შემდგომში ჩვენც აღარ გავუნევთ ანგარიშს მათ ინტერესებს“.

თავად რონალდო დაღონებული ჩანდა: „ძალიან მსურდა, ჩვენს ოლიმპიელებს დავხმარებოდი, მაგრამ იძულებული ვარ, ფიფას კანონებს დავემორჩილო. კლუბში დაბრუნებაზე უარს თუ ვიტყვი, სანქციები დამეკისრება. თუმცა არა მგონია, ამ ისტორიამ „ინტერში“ ჩემს შემდგომ კარიერაზე იმოქმედოს, კლუბი რასაც ითხოვდა, მიიღო“.

REUTERS სიდნეიდან

რონალდო სიდნეის აეროპორტში

ამ შემთხვევამ მხოლოდ რონალდო და ლუქსემბურგი არ დააღონა. მატჩების ორგანიზატორებსაც თავსატეხი გაუჩნდათ. მათ გულშემატკივრებს ადრევე აუწყეს, ბრაზილიელთა რიგებში რონალდო, ხოლო ჩვენთან ლიდსელი ჰარი კიუელი ითამაშებენო. შესაბამისად, ბილეთებსაც მეტად მაღალი ფასი — 150 ავსტრალიური დოლარი (96 აშშ დოლარი) დაადეს. ახალმა ინფორმაციამ ბილეთების მფლობელები აღაშფოთა: ჩვენ ფული რონალდოს სანახავად გადავიხადეთ და მოტყუებულები კი დავრჩითო. ორგანიზატორებმა გადაწყვეტილება მიიღეს — გაყიდულ ბილეთებს უკან დაიბრუნებენ, სტადიონზე შესვლა კი უფასო იქნება. მასპინძელთა წარმომადგენელმა გრეგ ჰუტონმა ეს შემდეგნაირად განმარტა: „მიღებული გადაწყვეტილება ჩვენი მხრიდან კეთილი ნების გამოხატვაა. ითამაშებს თუ არა რონალდო, სიტუაცია ამით არ იცვლება. ავსტრალია ბრაზილიას უპირისპირდება და მატჩებზე დასასწრებად ყველას ვეპატიჟებით“.

გიორგი დარჯანია

ამხანაგური მატჩი

ბოსნია 0:0 გერმანია

ბოსნია: გუსო (დედიჩი 45), კლაიჩი, პუჯოროვიჩი, კონჯიჩი, ვარესანოვიჩი, მუიჩინი (იჯიარევიჩი 73), ბოლიჩი (ჰუსიჩი 90), საბიჩი (კატარევიჩი 84), ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი, ტოპიჩი (მემიჩი 4, მესანოვიჩი 76)

გერმანია: შობერი, შმიდტი, ჰოფმანი, მაისნერი, ჰირში, გერბერი (რიდლი 90), შვარცი, ოსვალდი (ბლანკი 51), შროტი (რაიხენბერგერი 62), კროიცი (დაბროვსკი 80), ბრდარიჩი (მაული 45)

მსაჯი: დ. კოში (სლოვენია)

დიდი სანაკრებო უქმეები გუშინ ბოსნიამ და გერმანიამ ერთმანეთში ნათამაშევი ამხანაგური მატჩით გახსნეს. თუმც თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანელებმა ეს შეხვედრა სარეზერვო შემადგენლობით ჩაატარეს, ძირითადი ნაკრების თითქმის არც ერთ წევრს არ უთამაშია. ერიხ რიბეკის შეგირდები 14 ნოემბერს ნორვეგიასთან ჩაატარებენ გასვლით ამხანაგურ შეხვედრას.

დავუბრუნდეთ ბოსნია — გერმანიის პაექრობას, რომელშიც ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მეტოქის კარის დალაშქვრა, თანაც ამხანაგური შეხვედრის პერიპეტიებით ნამდვილად არ გამორჩეულა. თავად განსაჯეთ, მე-10 წუთზე ბოსნიელებს სერგი ბარბარესი გაუძევეს, მანამდე კი მათი წამყვანი ფორვარდი მარკო ტოპიჩი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ექიმებმა მას კუნთის დაჭიმვა დაუდგინეს.

მატჩი მასპინძლებმა საკმაოდ აგრესიულად და აქტიურად დაიწყეს, შედეგად რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. პირველი ნახევრის მიწურულს თურქული „ფენერბაჰჩეს“ ბოსნიელმა ლეგიონერმა ელვირ ბოლიჩმა თანაგუნდელი ჰასან სალიჰამიჯიჩის (შეგახსენებთ, იგი მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავს) პასი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ ბოსნიელთა მთავარმა მწვრთნელმა მიშო სმაილოვიჩმა და გერმანიის გუნდის ფორმალურმა თავკაცმა ჰორსტ ჰრუბეშმა არაერთი ცვლილება გააკეთეს და ბლომად ფეხბურთელები გამოსცადეს, თუმც ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენად ისიამოვნეს საკუთარი შეგირდების თამაშის ხილვით.

ვაჟა ლომიძე

REUTERS სარაევოდან

ბოსნიელი ნერმინ საბიჩი (№8) და გერმანელი დანი შვარცი ბურთისთვის იბრძვიან

ფეხბურთის რუკასთან

ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ უკვე შეარჩია ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურა, თუმცა მისი დასახელება არ ისურვა. ახალი თავკაცი თავისი მოვალეობის შესრულებას მომავალი წლის 1 იანვრიდან შეუდგება, მანამდე კი პოსტს დროებით ტამრო რუუტლი შეითავსებს, რომელმაც საკმაოდ ნაყოფიერი სეზონი ჩაატარა ქვეყნის ჩემპიონატში — მისმა „ტულევიკმა“ ესტონეთის პირველობა მეორე ადგილზე დაასრულა. წინასწარი მონაცემებით, 2000 წლიდან ნაკრებს შესაძლოა დანიური „ოლბორგის“ მწვრთნელმა ჰანს ბაკემ უხელმძღვანელოს, თუმცა ესტონეთის ფეხბურთის ფედერაცია ნორვეგიული „ბრანის“ ისლანდიელი თავკაცის ტეიტურ ტორდარსონის საკითხსაც განიხილავს.

ბერძნულმა „ოლიმპიაკოსმა“ მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი დუშან ბაევიჩი გაათავისუფლა, ამ პოსტზე ახალი თავკაცი, იტალიური „ნაპოლისა“ და შვეიცარიული „სიონის“ ყოფილი ხელმძღვანელი ალბერტო ბიგონი დანიშნა. ბიგონი, რომელმაც 1990 წელს „ნაპოლის“ იტალიის ჩემპიონობა მოაპოვებინა, ხოლო 1997 წელს „სიონს“ ერთდროულად ჩემპიონობა და თასი, ახალ ფეხბურთელებს ამ დღეებში შეხვდება. „მოხარული ვარ საბერძნეთში ჩამოსვლით, მსურს, „ოლიმპიაკოსთან“ ერთად ნაყოფიერად ვიმუშაო და წარმატებებს მივაღწიო“ — განაცხადა ათენის აეროპორტში მიცემულ ინტერვიუში იტალიელმა ფეხბურთის სპეციალისტმა. პირველი საერთაშორისო გამოცდა ბიგონის თავის თანამემამულეთა გუნდის, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ უეფას თასის გათამაშებაში ელის.

ესპანური მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გუნდს დაცვაში აშკარა კრიზისი აქვს და ამ პრობლემის გადასაჭრელად არგენტინული „სან ლორენსოდან“ კოლუმბიელი მცველის, ივან კორდობას გადაბირებას ლამობს. „გუნდს დაცვაში ძალიან უჭირს, განსაკუთრებით ცენტრალურ პოზიციაზე. ვიმედოვნებთ, რომ კორდობა ამ საკითხს მოაგვარებს. ჩვენ მას, ალბათ, დეკემბერში ჩამოვიყვანთ მადრიდში“ — აცხადებს „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი.

იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ფრანჩესკო ბაიანო თავისუფალი ტრანსფერით ინგლისური „დერბი ქაუნთიდან“ იტალიის სერია B-ში მოასპარეზე „ტერნანაში“ გადაბარგდა. პრესის ცნობით, ბაიანოს სერია A-ს ქვედა ეშელონის რამდენიმე გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა განაცხადა: „მირჩევნია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლო, ვიდრე იმაზე ვიფიქრო, როგორ დავაღწიო თავი ჩემპიონატისგან გავარდნას“. 31 წლის ფორვარდმა, მას შემდეგ, რაც 1997 წელს ფლორენციული „ფიორენტინადან“ „დერბის“ 1,5 მილიონ გირვანქად შეუერთდა, ორ სეზონში 61 მატჩი ითამაშა და მხოლოდ 16 გოლის გატანა მოახერხა.

იტალიური „რომაში“ მოასპარეზე ფრანჩესკო ტოტის რამდენიმე გუნდი ერთდროულად ეპატიჟება. გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს მისი შეძენა „იუვენტუსს“, „მილანსა“ და მადრიდის „რეალს“ სურთ. „კლუბთან კონტრაქტი 2003 წლამდე მაკავშირებს. ეს საკმაო დროა, ვერ გეტყვით, ახლა რომს დავტოვებ თუ არა, თუმცა ის კი ნამდვილად ვიცი, რომ არანაირი ფინანსური პრობლემა არ მექნება. ფული ჩემთვის უმთავრესი არაა, ჩემი მიზანი რაიმე დიდი შეჯიბრის მოგებაა — კარიერის ბოლოს ხომ სწორედ ეს გამახსოვრდება. ჩემი გადასვლა არგადასვლის საკითხი უახლოეს 10 დღეში უნდა გაირკვეს“ — აცხადებს 23 წლის ფორვარდი, რომელიც პრესამ უკვე შერაცხა ყველაზე გამორჩეულ იტალიელ ახალგაზრდად. ასეთი ფეხბურთელი, ცხადია, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის — დინო ძოფის ყურადღებასაც მიიქცევდა. ტოტი, რომელმაც „რომას“ რიგებში პირველ ოფიციალური მატჩი 16 წლისამ გამართა, ახლა ბელგიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ მიიწვიეს, თუმცა სანაკრებო დებიუტი ტოტის 1998 წელს შვეიცარიელთა წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში უკვე ჰქონდა.

ბულგარეთის ეროვნული და 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა დიმიტარ დიმიტროვმა და სტოიჩო მლადენოვმა, აგრეთვე მათმა ახალდანიშნულმა ასისტენტმა ხრისტო სტოიჩკოვმა 2002 წლამდე გააგრძელეს გუნდებთან კონტრაქტი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებლობის მიუხედავად, ნაკრებთა ხელმძღვანელებმა მაინც შეინარჩუნეს პოსტები. 33 წლის სტოიჩკოვი კი, რომელმაც ივნისში დაანება თავი დიდი ფეხბურთის თამაშს, სულ ახლახან შეუდგა ასისტენტის მოვალეობის შესრულებას.

ესპანური ვიგოს „სელტას“ ფრანგი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე ავტოკატასტროფაში მოჰყვა, თუმცა უვნებელი გადარჩა. ფეხბურთელი ერთ-ერთ გზატკეცილზე საკუთარი „ფერარით“ ბარიერს შეეჯახა და მანქანაც საკმაოდ დააზიანა, თვითონ კი ჰოსპიტალში მოხვდა. როგორც შემდგომ გაირკვა, მას სერიოზული არაფერი სჭირდა და უმალვე გამოწერეს. მაკელელეს „სელტას“ მორიგ ვარჯიშზე მონაწილეობის უფლება კი მისცეს, მაგრამ მას გუნდთან ერთად არ უვარჯიშია.

ინგლისური „ევერტონი“ სადაცაა დაასრულებს მოლაპარაკებას 29 წლის ამერიკელი ჯო მაქს მურის გადაბირების თაობაზე. ფეხბურთელის ახლანდელი კლუბი, ამერიკული „ნიუ ინგლენდ რევოლუშენი“ თანახმაა, მოთამაშე გაუშვას, ოღონდ მური ახლა ინგლისის სამუშაო ვიზას ელოდება. ფეხბურთელს, რომელიც ამერიკაში ასპარეზობამდე გერმანულ „ნიურნბერგში“ ირიცხებოდა, მეორე ინგლისური კლუბი — „ნოტინგემ ფორესტი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ საბოლოოდ მას „ევერტონმა“ აჯობა. პრემიერლიგის ლივერპულურმა კლუბმა განაცხადა, რომ ალბათ გამოეთხოვება ნახევარმცველ ჯო პარკინსონს. ფეხბურთელმა ვერა და ვერ მოიშუშა ხანგრძლივი ტრავმა. პარკინსონმა, რომელიც „ევერტონს“ 1994 წელს შეუერთდა, ბოლო მატჩი 1997 წელს ჩაატარა.

მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი

ახალი ზელანდია 1:2 აშშ

ურუგვაი 1:1 პოლონეთი

დარჩენილი მატჩები

13 ნოემბერი. ახალი ზელანდია — ურუგვაი, აშშ — პოლონეთი

16 ნოემბერი. პოლონეთი — ახალი ზელანდია, აშშ — ურუგვაი

B ჯგუფი

განა 1:1 ესპანეთი

მექსიკა 4:1 ტაილანდი

დარჩენილი მატჩები

13 ნოემბერი. ესპანეთი — ტაილანდი, განა — მექსიკა

16 ნოემბერი. ტაილანდი — განა, ესპანეთი — მექსიკა

C ჯგუფი

ბრაზილია 2:1 ავსტრალია

1:0 მარკინოსი (31), 2:0 რიკარდო (64), 2:1 მაკალისტერი (78)

მალი 0:0 გერმანია

დარჩენილი მატჩები

14 ნოემბერი. ავსტრალია — გერმანია, ბრაზილია — მალი

17 ნოემბერი. გერმანია — ბრაზილია, ავსტრალია — მალი

D ჯგუფი

იამაიკა 0:1 ბურკინა ფასო

0:1 კამპაორე (12)

პარაგვაი 2:0 ყატარი

1:0 ფრიტესი (37), 2:0 გუზმანი (57)

დარჩენილი მატჩები

14 ნოემბერი. ბურკინა ფასო — ყატარი, იამაიკა — პარაგვაი

17 ნოემბერი. ყატარი — იამაიკა, ბურკინა ფასო — პარაგვაი

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲛᲐᲒᲠ.

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

EURO 2000

ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ: ᲗᲘᲜᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲣᲠᲐ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲰᲔᲛᲞᲓᲔᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲚᲔᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ

REUTERS ᲑᲘᲨᲘᲡ ᲒᲘᲜᲓᲐᲜ

ᲙᲔᲕᲘᲜ ᲙᲘᲒᲐᲜᲘ

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ მწვრთნელმა, კრეიგ ბრაუნმა, აღიარა, რომ ადრე, სანამ „ჰემპდენ პარკი“ სადგომი ადგილებით იყო სავსე, იქაური ატმოსფერო მართლაც საშიში გახლდათ, მაგრამ მას მერე, რაც მასზე თითოეულ ადგილს თითო სკამი შეუსაბამეს, ყველაფერი რადიკალურად არის შეცვლილი.

„კევინ კიგანი „ჰემპდენის“ დამზადებულ გარემოზე ლაპარაკობდა, მაგრამ განახლებული სტადიონი ასეთი აღარ არის — თქვა ბრაუნმა — არა მგონია, ინგლისელები აქ დაითრგუნონ. არც ჩვენ დავითრგუნებით საპასუხო შეხვედრაში, „უემბლიზე“. უნდა გვახსოვდეს, რომ საპასუხო თამაში, ალბათ, პირველზე მნიშვნელოვანია და ამიტომაც მასზე მახვილი ამთავითვე უნდა დავსვათ.“

„ჰემპდენ პარკზე“ 1937 წლიდან შოტლანდიის ნაკრების თამაშებს მუდმივად ესწრებოდა 100 ათასზე მეტი მაყურებელი, ხოლო ევროპაში დასწრების რეკორდი სწორედ შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრაში დამყარდა — 149 415. მაშინ სქოთებმა მეზობლებს 3:1 მოუგეს.

დღეს ამ ნაგებობაში მხოლოდ 52 ათასი ადამიანი ეტევა. სწორედ ამდენი ფანი დაესწრება თამაშს, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანწილად განაპირობოს ძველ მეტოქეთაგან რომელი მოხვდება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მომავალ ზაფხულს ჰოლანდიასა და ბელგიაში რომ გაიმართება.

შოტლანდიის ნაკრების კაპიტნის, კოლინ ჰენდრის მზადყოფნაზე ახალი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ისე ამბობენ, რომ სამდღიანი ინტენსიური ვარჯიშის მიუხედავად, ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა. მოგეხსენებათ, ჰენდრი მუხლის ტრავმამ ექვსი კვირით ჩამოაშორა მოედანს და გარდა ამისა, კლუბში, „გლაზგო რეინჯერსში“ ბოლოხანს ერთობ იშვიათად ათამაშებენ ძირითად შემადგენლობაში.

ბრაუნმა ჰენდრის შანსები 50-50-ზე შეაფასა, თუმცა დააყოლა, რომ შემადგენლობის საბოლოო ვარიანტს მხოლოდ გუშინ საღამოს დაადგენდა. თანაც, უშუალოდ მატჩის დაწყებამდე, შოტლანდიელთა თავკაცი მთელი გუნდიდან მხოლოდ სამი კაცის დასახელებას ჰპირდებოდა ადგილობრივ ჟურნალისტებს, რვას საიდუმლოდ შევინახავო.

თუ ჰენდრი ძირითადში ვერ მოხვდება, მაშინ სავარაუდოა, რომ მის ადგილს დაცვაში სხვა ვეტერანი, 34 წლის კოლინ კალდერვუდი დაიკავებს, რომლისთვისაც ინგლისელებთან შეხვედრა კარიერაში 37-ე იქნება.

„ჰართსის“ თავდამსხმელი, გარი მაკსვეგანი, რომელმაც ლატვიასთან სადებიუტო თამაშში გოლი გაიტანა, კუნთის ტკივილის გამო საქმიდან ჩამოწერილია.

რაც შეეხება მარცხენა მცველს, კალუმ დავიდსონს, მან ზუსტად იგივე ტრავმა უკვე მოიშუშა.

ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ბრაუნი თავდასხმაში „დანდი იუნაიტედის“ ბილი დოდსსა და „ევერტონის“ დონ ჰათჩისონს შეაწყვილებს, იმის იმედით, რომ როგორც ერთად ნათამაშევ ოთხ შეხვედრაში, ამჯერადაც ერთერთი მათგანი მაინც დალაშქრავს მოწინააღმდეგის კარს.

შემადგენლობის დასახელების წინ პრობლემები ინგლისელთა თავკაცს, კევინ კიგანსაც შეექმნა. კერძოდ, ოთხშაბათის ვარჯიშზე სტივ მაკმანამანის დაშავების მერე გუნდის მარცხენა ფრთაზე გაურკვევლობამ წამოჭყო თავი.

„ჩელსის“ მოთამაშე გრემ ლე სო ფიზიკურად მოუმზადებელია, ამიტომაც კიგანმა შესაძლოა დაცვაში ფილ ნევილი, ხოლო წინ სტივ გაპი, ან სტივ ფროგატი ათამაშოს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გაპიცა და ფროგატიც კარიერაში მხოლოდ და მხოლოდ პირველი, თუ მეორე სანაკრებო მატჩის მოლოდინში არიან.

კიგანი შემადგენლობას, ბუნებრივია, ძალიან ფრთხილად არჩევს, მაგრამ საზოგადოებრიობას უკვე მიანიშნა, რომ მცველთაგან ერთ-ერთს, არაა გამორიცხული, ჩვეული პოზიციის ოდნავ შეცვლა დასჭირდეს. ვარაუდობენ, რომ ეს მარტინ კიოუნი, ან სოლ კემპბელი იქნება.

დევიდ ბექემი ჩვეულებრივ მარჯვენა ფრთაზე, ნახევარდაცვაში ითამაშებს.

თავდასხმაში კიგანს ენდი კოულს, მაიკლ ოუენს და ალან შირერს შორის ორი ეყოლება ასარჩევი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მან უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება შირერის მეწყვილე, კოული თუ ოუენი. ალბათ კოული

მაგრამ, ინგლისელთა მწვრთნელის პრობლემები ამით არ ამოიწურება. მწვავედ დგას მეკარის საკითხიც. ოქტომბერში, ბელგიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ნაიჯელ მარტინმაც და დევიდ სიმენმაც თითო ტაიმი ითამაშეს, მაგრამ სიმენი ტრავმის მოშუშების და მოედანზე დაბრუნების შემდეგ საკუთარ თავს აღარ ჰგავს.

მარტინი ძალიან კარგ ფორმაშია, მაგრამ სიმენს მეტი გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

ᲤᲘᲚ ᲒᲝᲠᲓᲝᲜᲘ,
ᲠᲝᲘᲢᲔᲠᲘ

სავარაუდო შემადგენლობები

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ: *სალივანი, ვეირი, ჰენდრი (ან კალდერვუდი), დეილი, ბარლი, ბ. ფერგიუსონი, კოლინზი, დარანტი, დავიდსონი, დოდსი, ჰათჩისონი*

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ: *სიმენი (ან მარტინი), ფ. ნევილი, ადამსი, კემპბელი, კიოუნი, გაპი, ბექემი, რედნაპი, ინსი, კოული, შირერი*



REUTERS ᲒᲚᲐᲖᲒᲝᲓᲐᲜ

ᲙᲠᲔᲘ�გ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ

ᲔᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲔᲤᲔᲕᲐ

ᲡᲢᲘᲕ ᲛᲐᲙᲛᲐᲜᲐᲛᲐᲜᲘ

ᲝᲠᲘᲝᲓ დღის წინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ინგლისისა და შოტლანდიის შეხვედრებს მადრიდიდან ვადევნებდი თვალს, მაგრამ მას მერე, რაც ოთხშაბათს ნაკრების ვარჯიშზე ბარძაყში მძაფრი ტკივილი ვიგრძენი, საქმე სწორედ ამგვარად შემომიტრიალდა.

ბოლო კვირის განმავლობაში მეგონა კუნთის ტრავმა სრულიად მოშუშებული მქონდა. ძალიან დიდი დატვირთვით ვვარჯიშობდი და ორ შეხვედრაში, ესპანეთის პირველობაზე „რაიო ვალეკანოს“ წინააღმდეგ და ლი დიქსონის ბენეფისზე (ლონდონში, „არსენალის“ წინააღმდეგ) ვითამაშე კიდეც.

ტკივილის გამეორებამ ძალიან დამამწუხრა. ხომ არ ფიქრობთ, რომ გამივლიდა, იგი თამაშის დროს წამოყოფდა თავს, განა ვარჯიშებით დაკმაყოფილდებოდა. მხოლოდ და მხოლოდ ჩაწოდებებსა და დარტყმებში ვვარჯიშობდით, როდესაც ბურთისკენ გავიქეცი და ტკივილმა შემბოჭა. იმედი მაქვს, რომ ერთი ხნის მერე ყველაფერი ჩაცხრება, მეორადი ტრავმა თავდაპირველზე ძლიერი არ უნდა იყოს.

პლეი ოფის გამმტოვება მტკივნეულია. მე ნაკრების ბოლო თამაშებში ლუქსემბურგსა და პოლონეთთან ვითამაშე და ვიცი რა და როგორ ხდება. ვიცი რამდენად მნიშვნელოვანი მატჩები უნდა გაიმართოს, მაგრამ მეორე მხრივ მნიშვნელოვანი მატჩების გამოტოვებას დავეჩვიე. ბოლო თვეების განმავლობაში ტრავმამ „ბარსელონა“ — „რეალის“ დაპირისპირება და მადრიდული დერბი გამომატოვებინა.

შოტლანდიასთან თამაშში კევინ კიგანს ჩემს პირად ფუნქციაზე არ ჰქონდა ნათქვამი. მთავარი საკითხი ის გახლდათ, ვიქნებოდი თუ არა ფიზიკურად მზად, ხოლო ვითამაშებდი თუ არა, მკითხაობის თემაა.

თამაშის ნახვა ჩემთვის კოშმარი არ იქნება. რამდენიმე კვირის განმავლობაში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ნაკრებში ვერ მოვხვდებოდი, ამიტომაც თავად ის ფაქტი, რომ ინგლისში ჩავედი და მატჩში მონაწილეობის შანსი მომეცა, უკვე დიდებული გახლდათ. ახლა, ერთი სული მაქვს როდის ვნახავ შეხვედრას, როდის ვუქომაგებ ბიჭებს.

ტრიბუნიდან, ან ტელეეკრანიდან ფეხბურთის ცქერა ყოველთვის ძალიან ძნელია. საქმე ის გახლავთ, რომ მოედანზე გრძნობ, რომ დახმარება შეგიძლია.

დღეს ყველა გაზეთი ლომგულების და მამაცი გულების დაპირისპირებაზე წერს, იგონებს ორი ქვეყნის წარსულ მტრობას, მაგრამ ინგლისის ნაკრების ბანაკში ძალიან მშვიდი ატმოსფერო სუფევდა. ვგონებ, თუ ასეთ დამოკიდებულებას არ შევინარჩუნებდით ყველაფერი საგიჟეთს დაემსგავსებოდა, ასე კი საწვრთნელი სესია აბსოლუტურად ნორმალურად მიმდინარეობდა.

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ დაპირისპირების მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობი იყო. დაძაბულობა ძალიან დიდი იქნება. ის, რომ თამაში „საშინაო-საერთაშორისოა“ მას ისედაც ამწვავებს და ამას მისი პლეი ოფური მნიშვნელობა ემატება. მატჩის დროს ყველანი სკამის კიდეზე ვისხდებით, ყველა მოუთმენლად ელის მის დაწყებას.

თავის მხრივ სასაცილოდ ეღერს, თითქოს ინგლისის ნაკრების მოთამაშეები „ჰემპდენ პარკის“ პარტიზანულ გარემოს ვერ შეეგუებიან. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გასულ სეზონში ჩემპიონთა თასის ფინალი 120 ათასი მაყურებლის წინაშე ჩაატარა. მის ყოველ ფეხბურთელს აქვს შესაბამისი გამოცდილება.

კიდევ, არ მგონია შეხვედრა ძალიან ტაქტიკური იყოს. უფრო დერბის ატმოსფეროს ველი — დაძაბულობას, ბრძოლას, თავდადებას.

ასეთ თამაშებში ფორმა ჩარჩოებში ვერ ეტევა.

ᲡᲢᲘᲕ ᲛᲐᲙᲛᲐᲜᲐᲛᲐᲜᲘ,
„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ“

ᲕᲘᲡᲐᲒ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ

ᲔᲕᲠᲝ 2000-ის შესარჩევი შეხვედრა შოტლანდიასა და ინგლისს შორის გახლავთ პირველი, რომელსაც ინტერნეტით პირდაპირ გადასცემენ.

შეხვედრის ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება ტელეკომპანია BSKyB-ს ხელშია, რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და საყოველთაოდ გახადა მისი ხილვა შესაძლებელი. თან, სატელეფონო ხაზის დაკავების გარდა გადასახდელი ერთი ცენტიც არ იქნება.

მსურველებს შეგიძლიათ ისარგებლოთ მისამართით: www.skysports.co.uk/skysports/football/euro2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ციკლში ეს გუნდები ერთ ჯგუფში ასპარეზობდნენ და ორჯერ შეხვდნენ ერმანეთს. 1994 წლის 12 ოქტომბრის კიევური მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ თამაშში შედგა უკრაინელთა ახლანდელი მთავარი მწვრთნელის, იოჟეფ საბოს სანაკრებო დებიუტი, თუმც ოფიციალურად მაშინ მას მწვრთნელობის მოვალეობის შემსრულებელი ერქვა. უკრაინა ძლივს გადაურჩა წაგებას. მეორე ტაიმის შუაში მასპინძელთა მეკარე დმიტრი ტიაპუშკინმა საშო უდოვიჩის პენალტი მოიგერია და თავისიანები იხსნა. ერთი წლის შემდეგ ლიუბლიანაში უკრაინელებს უკვე ანატოლი კონკოვი ხელმძღვანელობდა. მე-17 წუთზე სტუმრებს იგორ ჟაბჩენკო გაუძღვეს. მიუხედავად ამისა, პირველივე ტაიმში სკრიპნიკმა და გუსეინოვმა ორჯერ გაუტანეს მასპინძლებს. სტუმრად 2:0 თითქოს ურიგო ანგარიში არ იყო, მაგრამ ორჯერ უდოვიჩმა და ზაჰოვიჩმა პატარა სასწაული მოახდინეს და სლოვენიამ 3:2 მოიგო. ერთი სიტყვით, საერთო გამარჯვება მაშინ სლოვენიელებს დარჩათ.

წლეულს კი ორივე ნაკრების საბაზო გუნდები, კიევის „დინამო“ და „მარიბორი“ ჩემპიონთა ლიგაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. კიევში მარიბორელებმა სენსაცია მოახდინეს და „დინამოს“ 1:0 მოუგეს, საპასუხოში კი წონასწორობა აღდგა, კიეველებმა 2:1 იმარჯვეს.

გუშინ სლოვენიელთა მთავარმა მწვრთნელმა, სრეჩკო კატანეცმა თქვა, რომ მოსწყინდა ამდენი რჩევების მოსმენა: „საინტერესოა, სად იყვნენ ეს მრჩეველები შესარჩევი ციკლის დროს“ — იკითხა კატანეცმა პრესკონფერენციაზე. ვინ-ვინ და ერთი მრჩეველი მას ნამდვილად გამოადგება. ხორვატთა მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს ყოფილი თანამემამულის დახმარება გადაუწყვეტია. 1997 წლის შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში სწორედ ხორვატიამ დაამარცხა უკრაინა და მერე საფრანგეთში მესამე ადგილისანი გახდა. თანაც, 15 წლის წინ ბლაჟევიჩი კატანეცის უშუალო მწვრთნელი გახლდათ, როცა ეს უკანასკნელი ზაგრების „დინამოში“ (დღევანდელ „კროაციაში“) თამაშობდა.

სლოვენიელთა აზრით, მათმა ნაკრებმა პლეი ოფში გასვლით უკვე მოახდინა სენსაცია, მაგრამ შუა გზაზე გაჩერება არ შეიძლება. უკრაინელებს კი გამარჯვების შემთხვევაში დამატებითი პრემიები ელით. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმირ ლაშკულის განცხადებით, თუ საბოს გუნდი ევრო 2000-ზე მოხვდება, სპონსორები და კერძო ფირმები დიდ ფულს გაიღებენ. ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ხდება მოწინააღმდეგეთა საწვრთნელ ბანაკებში.

რებროვ-შევჩენკოს დუეტს ყველა უფრთხის. აი, სლოვენიელ მცველებს კი მათი არ ეშინიათ. „შევჩენკო ძალიან კარგი ფეხბურთელია, ჩინებული სისწრაფეც აქვს, მაგრამ მისი გაუვნებლება შეიძლება. თუ მის მეურვეობას დამავალებენ, ყველაფერს გავაკეთებ და გოლს არ გავატანინებ“ — განაცხადა სლოვენიელთა მცველმა ალექსანდრ კნავსმ.

პლეი ოფის მაბრი

სლოვენია

ესპანეთ: ერს ეროვნული ჩემპიონატი

უკრაინა

სლოვენია პლეი ოფში მონაწილე გუნდთაგან უსუსტესად არის მიჩნეული მაშინ, როცა უკრაინა ერთ-ერთი უძლიერესია. მიუხედავად ამისა, ისინი დანებებას არ აპირებენ. ტაქტიკაც შესაბამისი აურჩევიათ. ნაკრების ბომბარდირმა ზლატკო ზაჰოვიჩმა თქვა: „ძალიან მინდა, გოლი გავიტანო. თუ ლიუბლიანაში ამას ვერ მოვახერხებთ, კიევში მეტად გაგვიჭირდება. ამიტომ დაცვაში დგომას არ ვაპირებთ“.

სლოვენიელებს ტრავმებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები არა აქვთ. გუშინ მათი მეკარის, მარკო სიმეუნოვიჩის გამოჯანმრთელების შესახებ გაუწყეთ, მაგრამ კატანეცი შიშობს — ვაითუ, „მარიბორის“ მეკარე ფორმაში არ იყოსო. ნაკრების მეორე მეკარე, ბელგიურ „ლოკერენში“ მოთამაშე მლადენ დაბანოვიჩია. თავდამსხმელთან ერთი ერთზე თამაშისას, ის შეუდარებელია. რომელ მათგანს ანდობს კატანეცი კარის დაცვას, ჯერჯერობით უცნობია.

უკრაინელებს კი დაცვაში პრობლემები აქვთ. მათი კაპიტანი ოლეგ ლუჟნი, რომელიც „არსენალში“ თამაშობს, ჩემპიონთა ლიგაში შვედურ აიკ-თან მატჩში დაშავდა. ამჟამად მას ტკივილი აღარ აწუხებს, თუმც ნაკრებთან ერთად არ უვარჯიშია. თუ ლუჟნი ვერ ითამაშებს, მის ადგილს დაცვის მარჯვენა ფლანგზე სავარაუდოდ, მოსკოვის სპარტაკელი დმიტრი პარფიონოვი დაიკავებს.

გუნდს სლოვენიაში არ გაჰყოლია ბრემენელი ნახევარმცველი იური მაქსიმოვი. ჯერაც გაურკვეველია კიევის დინამოელი ალექსანდრ გოლოვკოს საკითხიც. იოჟეფ საბოს თანაშემწემ ვლადიმირ ვერემეევმა განაცხადა: „საუბედუროდ, მაქსიმოვმა ხელი მოიტეხა და მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. გოლოვკოს იმედი კი გვაქვს. ის თავს კარგად გრძნობს და ვარჯიშიც განაახლა, თუმც, საბოლოო სიტყვას ექიმები იტყვიან“. კიეველთა კაპიტანმა, კვირას ეროვნულ ჩემპიონატში თანაქალაქელ არმიელებთან შეხვედრაში მუხლი დაიზიანა.

უკრაინის ნაკრებში გამოძახებულია გამოცდილი კიეველი ნახევარმცველი ვასილი კარდაში. გუნდში ახალწვეულიცაა — პოლტაველი ვიქტორ კოსტიუკი, იგი ეროვნული ნაკრების მაისურას ალბათ პირველად მოირგებს.

გუნდს სლოვენიაში გულშემატკივრებიც გაჰყვნენ. ისინი ლიუბლიანაში სამი თვითმფრინავით ჩავიდნენ. იოჟეფ საბომ ჟურნალისტებთან საუბარზე უარი განაცხადა, რასაც მასპინძელთა წარმომადგენელმა როკ სინკოვიჩმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მიღებულია, რომ ორივე გუნდის მწვრთნელებმა მატჩის წინ განცხადებები გააკეთონ. საბოს უარი არაეთიკური საქციელია, თუმცა შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გვახსნენებს“.



REUTERS დუბლინიდან

თურქთა ოპტიმისტი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი

ჰაქან შუქური ნაკრებში 50-ედ ითამაშებს

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. I დივიზიონი. XVIII ტური

13 ნოემბერი

057	ფულემი — ბარნსლი (16⁰⁰)	1,8	2,9	4,2

14 ნოემბერი

058	ნოტინგემი — ჰადერსფილდი (17⁰⁰)	2,3	2,9	2,8
059	შეფილდი — ბოლტონი (17⁰⁰)	2,2	2,9	3,0
060	კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი	2,6	2,9	2,4
061	ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი	1,9	2,8	3,8

ინგლისი. II დივიზიონი. XVII ტური

13 ნოემბერი

069	ოქსფორდი — ბერი (17⁰⁰)	2,4	2,8	2,7

14 ნოემბერი

070	ბარნლი — ბლეკპული (17⁰⁰)	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
071	ოლდემი — კოლჩესტერი	1,7	3,0	4,7
072	სტოკი — ბრისტოლი	1,6	3,2	5,0

ინგლისი. III დივიზიონი. XVII ტური

13 ნოემბერი

081	ჰარტლპული — ჩესტერი (16⁰⁰)	1,6	3,4	5,6
165	როვერსი — რედინგი	1,5	3,2	6,2

14 ნოემბერი

162	მაკლსფილდი — ბრაიტონი	2,0	2,9	3,4
163	პლიმუთი — ბარნეტი	2,2	2,9	3,0
164	როჩდეილი — მენსფილდი	1,9	2,9	3,6

იტალია. სერია B. XI ტური

14 ნოემბერი

093	კიევო — მონცა	1,9	2,6	4,2
094	კოზენცა — ტერნანა	2,0	2,7	3,6
095	ემპოლი — ტრევიზო	2,1	2,6	3,5
096	ფერმანა — ალბანო	2,4	2,7	2,8
097	პისტოიეზე — ჯენოა	2,3	2,7	3,0
098	რავენა — ბრეშა	2,7	2,6	2,6
099	სამპდორია — ჩეზენა	1,5	3,0	7,5
100	სავოია — ნაპოლი	2,8	2,6	2,5

15 ნოემბერი

101	პესკარა — ვიჩენცა	2,3	2,7	3,0

იტალია. სერია C1/A. X ტური

14 ნოემბერი

102	ლეკო — კომო (17³⁰)	1,9	2,7	4,0
103	ლუკეზე — მოდენა (17³⁰)	1,8	2,7	4,7
104	ლუმეცანე — ლივორნო (17³⁰)	1,8	2,7	4,7
105	პიზა — კარარეზე (17³⁰)	1,8	2,7	4,7
106	რევჯანა — კრემონეზე (17³⁰)	1,8	2,7	4,7
107	სანდონა — ალბინოლეფე (17³⁰)	2,3	2,7	3,0
108	სიენა — ბრეშელო (17³⁰)	1,8	2,7	4,7
109	სპალ — მონტევარკი (17³⁰)	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
110	ვარეზე — ჩიტადელა (17³⁰)	2,3	2,6	3,1

იტალია. სერია C1/B. X ტური

13 ნოემბერი

118	ლოდიჯანი — ასკოლი (17³⁰)	2,4	2,6	2,9

14 ნოემბერი

111	არეცო — პალერმო (17³⁰)	2,6	2,6	2,7
112	ატლეტიკო — ანკონა (17³⁰)	2,8	2,6	2,5
114	დი სანგრო — ვიტერბეზე (17³⁰)	1,7	2,7	5,6
115	კროტონე — კატანია (17³⁰)	1,9	2,6	4,2
116	გუალდო — ბენევენტო (17³⁰)	1,9	2,6	4,2
117	სტაბია — ფ. ანდრია (17³⁰)	1,8	2,6	5,0
119	მარსალა — ჯულიანოვა (17³⁰)	2,3	2,7	3,0

15 ნოემბერი

113	აველინო — ნოჩერინა	2,3	2,6	3,1

ესპანეთი. II დივიზიონი. XIV ტური

13 ნოემბერი

121	უელვა — ტენერიფე	2,5	2,9	2,5
125	ლეგანესი — ეიბარი	2,3	2,9	2,8
130	ლოგრონიესი — ლეიდა	2,2	2,8	3,1

14 ნოემბერი

120	სპორტინგი — ესტრემადურა	2,2	2,8	3,1
122	ტოლედო — ლევანტე	2,8	2,9	2,3
123	მერიდა — ვილიარეალი	2,2	2,9	3,0
124	ატლეტიკო B — ელჩე (15⁰⁰)	1,9	2,9	3,6
126	ოსასუნა — ხეტაფე	1,5	3,2	6,5
127	კომპოსტელა — ბადახოსი	1,9	2,7	4,0
128	კორდობა — ალბასეტე	2,5	2,9	2,5
129	ლას პალმასი — სალამანკა (15⁰⁰)	2,2	2,8	3,1

საბერძნეთი. VIII ტური

14 ნოემბერი

131	ირაკლისი — კალამატა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
132	პროდეფტიკი — პანიონიოსი	2,5	2,9	2,5
133	ეთნიკოსი — პანილიაკოსი	1,9	2,8	3,8
134	პანაჰაიკი — აპოლონი	1,8	2,9	4,2
135	პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი	2,4	2,8	2,7
136	ქსანთი — კავალა	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
137	პაოკ — იონიკოსი	1,8	3,0	4,0
138	ოფი — ტრიკალა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
139	აეკ — არისი	1,8	2,9	4,2

ავსტრია. XX ტური

13 ნოემბერი

141	ლუსტენაუ — გრაცერი	2,7	2,8	2,4
142	რიდი — რაპიდი	2,7	2,8	2,5
143	შტურმი — ბრეგენცი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

14 ნოემბერი

144	აუსტრია — ზალცბურგი	1,8	2,8	4,4

პორტუგალია. თასის IV ეტაპი

14 ნოემბერი

151	ალვერკა — ბოავიშტა	3,0	2,9	2,2
152	ფარენსე — ბელენენსეში	2,3	2,9	2,8
153	ბრაგა — მარიტიმუ	3,4	2,9	2,0

ჩეხეთი. თასის მერვედფინალი

13 ნოემბერი

154	ლიბერეცი — ბრნო (17⁰⁰)	2,2	2,9	3,0

14 ნოემბერი

155	სიგმა — ოპავა	1,8	3,0	4,0

რუსეთი. თასის მერვედფინალი

13 ნოემბერი

157	ცსკა — სპარტაკ ჩუკოტკა	1,1	6,0	12,0
160	ურალანი — ფაკელი	1,6	3,2	5,0
161	ლოკომოტივი — ბალტიკა	1,15	8,6	10,0

14 ნოემბერი

158	დინამო — ნალჩიკი	1,15	5,6	10,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი

პლეი ოფი. I წრე

13 ნოემბერი

502	შოტლანდია — ინგლისი	(4,0-1,15)	2,7	2,8	2,4
503	ისრაელი — დანია	(2,8-1,3)	2,4	2,9	2,6
504	სლოვენია — უკრაინა	(5,0-1,1)	4,2	2,9	1,9
505	ირლანდია — თურქეთი	(1,7-1,7)	2,0	2,9	3,4

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.

პლეი ოფი. I წრე

13 ნოემბერი

507	პორტუგალია — ხორვატია	1,4	3,5	7,0
508	ჩეხეთი — საბერძნეთი	1,9	2,9	3,6
509	ჰოლანდია — ბელგია	1,6	3,2	5,0
510	რუსეთი — სლოვაკეთი (17⁰⁰)	1,4	3,5	7,0

14 ნოემბერი

511	ნორვეგია — ესპანეთი (16⁰⁰)	2,8	2,9	2,3
512	საფრანგეთი — იტალია	2,2	2,9	3,0
513	იუგოსლავია — ინგლისი (ერთი მატჩი ლუქსემბურგში)	3,0	2,9	2,2

ამხანაგური მატჩები

13 ნოემბერი

514	ესპანეთი — ბრაზილია	2,4	2,9	2,6
515	ჰოლანდია — ჩეხეთი	1,6	3,0	5,6
516	იტალია — ბელგია	1,35	3,8	7,0
517	საფრანგეთი — ხორვატია	1,7	2,9	5,0

14 ნოემბერი

518	ნორვეგია — გერმანია	2,4	2,8	2,7

კალათბურთი. NBA

13 ნოემბერი

862	კლივლენდი — მილუოკი	1,5	12,0	2,0
863	დეტროიტი — სიეტლი	1,5	12,0	2,0
864	ინდიანა — ვაშინგტონი	1,15	12,0	4,0
865	ჩიკაგო — ბოსტონი	1,8	12,0	1,6
866	მინესოტა — ფინიქსი	1,7	12,0	1,7
867	დალასი — ორლანდო	1,7	12,0	1,7
868	სან ანტონიო — შარლოტი	1,2	12,0	3,5
869	გოლდენ სტეიტი — ჰიუსტონი	2,5	12,0	1,35
870	პორტლენდი — ატლანტა	1,1	12,0	5,0

14 ნოემბერი

871	ნიუ იორკი — მაიამი	1,5	12,0	2,0
872	ტორონტო — ფილადელფია	1,5	12,0	2,0
873	ლეიკერსი — ატლანტა	1,1	12,0	5,0
874	საკრამენტო — დენვერი	1,35	12,0	2,5
875	ვანკუვერი — კლიპერსი	1,35	12,0	2,5

15 ნოემბერი

876	ნიუ ჯერსი — სიეტლი	1,8	12,0	1,6
877	ჰიუსტონი — ინდიანა	1,6	12,0	1,8
878	იუტა — სან ანტონიო	1,6	12,0	1,8
879	ფინიქსი — ლეიკერსი	1,7	12,0	1,7

ჰოკეი. NHL

13 ნოემბერი

886	ფილადელფია — სან ხოსე	1,4	4,0	3,4
887	ტორონტო — დეტროიტი	1,9	4,0	2,1
888	მონრეალი — ატლანტა	1,8	4,0	2,2
889	ოტავა — ანაჰაიმი	1,4	4,0	3,4
890	აილენდერსი — სენტ ლუისი	2,0	4,0	2,0
891	ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი	2,2	4,0	1,8
892	რეინჯერსი — ბოსტონი	1,8	4,0	2,2
893	პიტსბურგი — ნეშვილი	1,5	4,0	3,0

894	კაროლინა — ტამპა ბეი	1,8	4,0	2,2
895	ფლორიდა — ბუფალო	1,7	4,0	2,4
896	კალგარი — კოლორადო	2,1	4,0	1,9
	14 ნოემბერი			
897	ჩიკაგო — ედმონტონი	1,9	4,0	2,1
898	ფინიქსი — ლოს ანჯელესი	1,8	4,0	2,2
	15 ნოემბერი			
899	ტორონტო — სან ხოსე	1,4	4,0	3,4
900	ვანკუვერი — კოლორადო	1,9	4,0	2,1

კრივი

	13 ნოემბერი			
901	ლუისი — ჰოლიფილდი	1,55	12,0	1,9

ჩემპიონთა თასის მოგება

	თასის მოგება	ჯგ. I ადგ.	ჯგ. გასვლა
ბარსელონა	2,5	1,05	1,02
ლაციო	2,5	1,4	1,15
მანჩესტერი	2,5	1,4	1,1
ჩელსი	3,5	1,9	1,25
ბაიერნი	6,0	1,8	1,3
ფიორენტინა	6,0	2,0	1,5
რეალი	6,0	1,8	1,3
ვალენსია	10,0	4,0	2,5
მარსელი	10,0	4,0	2,8
ბორდო	15,0	7,0	3,5
ჰერტა	15,0	4,5	2,2
პორტუ	20,0	4,5	2,3
დინამო	20,0	3,5	2,2
ფეიენოორდი	20,0	8,0	5,0
სპარტა	30,0	7,0	3,2
რუსენბორგი	30,0	8,0	4,0

რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს — ?

ინგლისი	2,0
იტალია	2,0
ესპანეთი	2,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
პორტუგალია	20,0
უკრაინა	20,0
ჰოლანდია	20,0
ჩეხეთი	30,0
ნორვეგია	30,0

უეფას თასის მოგება

იუვენტუსი	2,5	კაიზერსლაუტერნი	15,0
არსენალი	2,5	მალიორკა	15,0
რომა	3,0	ლიონი	15,0
პარმა	4,0	რეინჯერსი	20,0
ლიდსი	4,0	ვოლფსბურგი	20,0
დორტმუნდი	7,0	ნანტი	30,0
ბოლონია	7,0	ლანსი	30,0
უდინეზე	8,0	ბენფიკა	30,0
დეპორტივო	8,0	სპარტაკი	50,0
სელტა	8,0	გალათასარაი	50,0
აიაქსი	10,0	სლავია	50,0
ნიუკასლი	10,0	ოლიმპიაკოსი	50,0
ლევერკუზენი	10,0	პანათინაიკოსი	50,0
მონაკო	10,0	აეკ	50,0
ატლეტიკო	10,0	სტიაუა	50,0
ვერდერი	15,0	შტურმი	50,0

რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს

იტალია	1,5
ინგლისი	2,0
გერმანია	6,0
ესპანეთი	6,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	10,0
შოტლანდია	20,0
პორტუგალია	30,0
საბერძნეთი	40,0
რუსეთი	50,0
თურქეთი	50,0
ჩეხეთი	50,0
რუმინეთი	50,0
ავსტრია	50,0

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი
აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16,
ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის
(ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა №3,
„პირიმზე“, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან..

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მე რივერ პლეიტიდან მოვედი

არგენტინელი ახალგაზრდა პლეიმეიკერი მარსელო გალიარდო, რომელიც წლევანდელი სეზონის დაწყების წინ „რივერ პლეიტიდან“ ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა, საკმაოდ ადვილად მოერგო მონეგასკთა სათამაშო ტაქტიკას და დღეს უკვე ჯუჯა სახელმწიფოს, მონაკოს ეს გუნდმის გარეშე ვერც კი წარმოუდგენიათ.

რა თქმა უნდა, მას თანამემამულე გენიალურ მარადონას ვერ შევადარებთ, რომელმაც 80-იანი წლების „ნაპოლიში“ ფურორი მოახდინა, მაგრამ გალიარდო უკვე სერიოზულად ფიქრობს, მარადონას კვალს დაადგეს და ამ სეზონშივე აპირებს, თავის ახალ კლუბთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვოს.

როდესაც დიეგო მარადონა 1984 წელს იტალიურ „ნაპოლიში“ გადავიდა, სამი წლის შემდეგ კლუბმა პირველად თავის ისტორიაში სკუდეტო მოიპოვა. წარმატება მარადონამ და „ნაპოლიმ“ 1990 წელსაც გაიმეორეს, როდესაც ბოლო ტურში იტალიის ჩემპიონის ტიტული თვით არიგო საკის დროინდელ დიდ „მილანს“ წაჰგვარეს.

„მონაკოს“ კი სულ ექვსჯერ მოუგია საფრანგეთის ჩემპიონობა. ბოლოს მონეგასკებს ტრიუმფალური სეზონი ორი წლის უკან ჰქონდათ, შარშანდელ ჩემპიონატში კი გუნდი მხოლოდ მეოთხე იყო. ზაფხულში მარსელო გალიარდოს მისვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. არგენტინელის მისვლით „მონაკო“, რომ იტყვიან, გარდაიქმნა, სეზონის დასაწყისშივე ოქროს მედლებზე განაცხადა პრეტენზია და დღეისათვის საფრანგეთის ჩემპიონობის ერთადერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება. ჯერჯერობით „მონაკო“ გათამაშების ცხრილში მეორეა და ლიდერ „ლიონს“ ქულით ჩამორჩება. ამასთანავე ერთი თამაში მარაგში აქვს გი რუს „ოსერთან“.

მარსელო გალიარდო დღეს საფრანგეთის ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად ითვლება. მას უკვე დაუფარავად აქებენ როგორც თანაგუნდელები, ასევე პრესის წარმომადგენლები.

„იშვიათად თუ ნახავთ მისნაირ ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ მოთამაშეს. იგი ყველასგან განსხვავებულია — ამბობს გალიარდოს თანაგუნდელი საბრი ლამუში — ამიტომაც გახლავთ ლიდერი, რომელსაც შეუძლია, სხვაც აიყოლიოს“.

დანიელ პასარელა, არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი, რომელიც 17 წლის გალიარდოს მწვრთნელი გახლდათ „რივერ პლეიტში“, ამტკიცებს, რომ მარსელოს მინდვრის ხედვის უნიკალური უნარი გააჩნია.

თავად გალიარდო თავმდაბალია და სჯერა, რომ „მონაკოსთან“ ერთად ჩემპიონობას აუცილებლად მიაღწევს:

„ჩემპიონობა რომ მოიპოვო, ამისათვის ყოველთვის მოსაგებად ანთებული ჟინით უნდა იყო განწყობილი. მე „რივერ პლეიტიდან“ მოვედი, გუნდიდან, რომელიც მოგებასაა მიჩვეული. „მონაკოც“ ასეთად მიმაჩნია, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია, წლეულს ორივე ფრონტზე წარმატებით იბრძოლოს.

ეს საფრანგეთის ჩემპიონატი და უეფას თასი გახლავთ. დიდებული იქნება, თუ ორივე ტურნირში გავიმარჯვებთ. ჩემთვის გამარჯვებულის ფსიქოლოგია მნიშვნელოვანია. მიჩვეული ვარ მოგებებს და მსურს, ეს იდილია არ დავარღვიო. თავისუფლად შემეძლო იტალიაში, ესპანეთში ან ინგლისში გადავსულიყავი, მაგრამ მე საფრანგეთი ვარჩიე. საინტერესოც კია აქ თამაში, საკლუბო ფეხბურთი აღმავლობის გზაზე დგას და ვთვლი, რომ აქ დროულად მოვედი“.

გიორგი ვაშაკიძე

ბებეტო

ბებეტო, ჩვენ შენთან ვართ!

ბრაზილიელი მექსიკიდან გაქცევას აპირებს

როგორც წესი, ვარსკვლავებს ჭირვეული ხასიათი აქვთ და თავიანთ კლუბებს ამით პრობლემებს უქმნიან. მაგრამ ყველა წესს გამონაკლისიც აქვს, ესე იგი პირიქითაც ხდება. მექსიკიდან ცნობა მოვიდა — ბებეტოს ჩაგრავენო. ეს ის ბებეტოა, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოველ გატანილ გოლს ახალდაბადებულ შვილს რომ უძღვნიდა, რითაც მსოფლიოს ფეხბურთში გოლების გატანის აღნიშვნის ახალი მოდა დანერგა.

35 წლის ბებეტო დღეს ის აღარაა, რაც ადრე იყო. დღეს იგი მეტად მოკრძალებულ მექსიკურ კლუბში თამაშობს, „ნეცა“ რომ ჰქვია. გუნდისგან განსხვავებით, მისი პრეზიდენტი მოკრძალებული კი არა, დიდად ახირებული კაცი ყოფილა. თურმე ბატონი ხუან ანტონიო ერნანდესი (პრეზიდენტის სახელია) ბრაზილიელ ვეტერანს აძალებს, შენი ტრავმები არ მაინტერესებს, როგორც მე მინდა, ისე უნდა ითამაშოო და ხელფასსაც უგვიანებს.

ბებეტოს მოვუსმინოთ: „ჩემი კონტრაქტი ორწლიანია, მაგრამ აქ გაჩერება აღარ შემიძლია. როცა დაშავებული ვარ, მაიძულებენ ვითამაშო. ახლა საუკეთესო ფორმაში ჩავდექი, ესენი კი ამხანაგებს ახლოს არ მაკარებენ — ინდივიდუალურად ივარჯიშეო. ახლახან კლუბის პრეზიდენტმა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას წერილი გაუგზავნა. მისწერა, თითქოს მე თანაგუნდელებზე ცუდ გავლენას ვახდენ. ტყუილია. საბედნიეროდ, მთელი მსოფლიო მიცნობს. ვერავინ იტყვის, ბებეტოს ცუდი ხასიათი აქვსო. გადავწყვიტე, ფიფას მივმართო. იმედი მაქვს, კონტრაქტის შეწყვეტაში დამეხმარებიან. თუმცა ერთი რამ ზუსტად ვიცი. ორ კვირაში სეზონი დასრულდება და გუდა-ნაბადს ავიკრავ. ვერაფერი გამაჩერებს“.

ბებეტო „ნეცას“ ივლისში შეუერთდა. მეტსახელიც უცბად შეურჩიეს. აქ მას „ტოროს“ — ჩვენებურად ხარს ეძახიან. გუნდმა წლეულს ანტირეკორდი დაამყარა — 15 თამაშიდან მხოლოდ 3 მოიგო. ბებეტომ ერთი გოლის გატანა მოახერხა და რამდენიმე მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

კვირას „ნეცა“ უნამ-ს ხვდებოდა. სანახაობრივად შეხვედრა არც ისე საინტერესო აღმოჩნდა. მთავარი სხვა რამ იყო. ორივე გუნდის ფეხბურთელებს სათამაშო ფორმის ქვეშ ისეთი მაისურები ეცვათ, რომლებზეც ეწერა: „ბებეტო, ჩვენ შენთან ერთად ვართ“. თანადგომის ამ აქტით აღფრთოვანებულმა ბრაზილიელმა განაცხადა: „გუნდს პრობლემები აქვს. აქ ბრწყინვალე ბიჭები თამაშობენ. ესე იგი წარუმატებლობის მიზეზი კლუბის ცუდი მართვაა. სხვა მექსიკურ კლუბში რომ გამოვდიოდე, როგორიცაა მაგალითად „ტოლუკა“, „ამერიკა“, „კრუზ ასული“, „ნეკაქსა“, ანდა „ატლასი“, სულ სხვა თამაშს ვაჩვენებდი. ამ კლუბებში პროფესიონალები მუშაობენ“.

ბებეტოს ბრაზილიის ნაკრებში 74 თამაში აქვს ჩატარებული, 37 გოლიც გაუტანია. ეროვნულ გუნდში მან უკანასკნელად საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა.

„ნეცადან“ წასვლის შემდეგ ვეტერანი ფეხბურთელი კარიერის დასრულებას არ აპირებს. ბრაზილიის, შეერთებული შტატების და მექსიკის ზოგიერთი კლუბები ამჟამადაც იწვევენ ბებეტოს თავისთან.

მისტერ ჯონი მეკარეებს დაერია

მე რას მერჩიან, სუსტები თქვენ ხართო

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ხომ გაგიგიათ, ზუსტად ასეა მადრიდის „რეალის“ უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის საქმეც.

ტოშაკს რომ უკვე კარგა ხანია, წყალი აქვს შეყენებული, მოგეხსენებათ. ჰოდა, უელსელს მეტი რომ არაფერი დარჩენია, ადგა და ფეხბურთელებს მისდგა, უფრო კი გუნდის მეკარეებს — არგენტინელ ალბანო ბიზარის და გერმანელ ბოდო ილგნერს, „რეალის“ წარუმატებელი ასპარეზობა მათ გადააბრალა.

ჯონ ტოშაკის ხასიათი ყველამ იცის. შეუძლია, სრულიად უმიზეზოდ ფეხბურთელები უხამსი სიტყვებით მოიხსენიოს. ასე მოხდა ამჯერადაც. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, მიუხედავად „რაიო ვალეკანოს“ 3:2 ძლევისა, ტოშაკმა სასტიკად გააკრიტიკა სამეფო კლუბის არგენტინელი გოლკიპერი ალბანო ბიზარი. როცა კი კარში დაგაყენე, ყველა გაშვებული ბურთი შენს სინდისზეაო. უელსელმა ბიზარის დარად არც გერმანელი ილგნერი დაინდო, საკმაოდ სუსტი მეკარეა და იმიტომაც არის ცუდ ფორმაშიო.

რა თქმა უნდა, „რეალის“ ფეხბურთელებმა თანაგუნდელები დაიცვეს. მიჩელ სალგადომ, ფერნანდო იერომ, რაულმა და მორიენტესმა მწვრთნელი არაჯენტლმენობაში დაადანაშაულეს. ხოლო „რეალის“ ყოფილმა მეკარემ, მიგელ ანხელმა, გაზეთ „მარკას“ საშუალებით სახალხოდ გაკიცხა ტოშაკი.

ამ ფაქტმა პრიმერა დივიზიონის მეკარეთა შორისაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ყველამ, თითქოსდა პირი შეკრესო, ბიზარის და ილგნერს დაუჭირეს მხარი.

ისე როგორ იქნებოდა, სამეფო კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანსს არ გამოეთქვა თავისი აზრი. ტოშაკის მოქმედებით ისიც აღშფოთებულია. კლუბის დირექტორატმა კი დაუყოვნებლივ მოითხოვა, უხამსი სიტყვებისთვის ჯონ ბენჟამინ ტოშაკი მილიონი პესეტით (6 ათას 600 დოლარი) დაჯარიმდეს.

ჯერჯერობით „მისტერ ჯონი“ არ დაუჯარიმებიათ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ტოშაკის ისედაც მცირე შანსი, კვლავაც დარჩეს „რეალის“ თავკაცად, ახლა უფრო შემცირდა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ესპანელი ჟურნალისტები იუწყებიან, მისი დღეები დათვლილია, მერე რა, რომ „რაიო ვალეკანოსთან“ მოიგოო...

დიკ ადვოკაატი რეალში არ წავა



დიკ ადვოკაატი

„გლაზგო რეინჯერსის“ თავმჯდომარემ, დევიდ მიურეიმ საზოგადოებრიობას აცნობა, რომ გუნდის ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი „აიბროქს პარკისადმი“ ერთგულების გამო კონტინენტიდან მიღებულ მრავალ წინადადებაზე უარს ამბობს.

ადვოკაატმა „რეინჯერსი“ შოტლანდიის ჩემპიონად გახადა და საერთაშორისო სარბიელზეც დაწინაურა. გლაზგოელებს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლამდე ცოტა დაკლდათ.

ამბობენ, რომ ადვოკაატის გადაბირება მადრიდის „რეალს“ მონდომებია, თუმცა, როგორც გითხარით, მიურეიმ კლუბის ფანობა დაამშვიდა, ბოსს არსად სურს წასვლაო. თავმჯდომარემ „სქოთიმ სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა:

„მან აზრი გამანდო. მითხრა, რომ „რეინჯერსიდან“ გაქცევას არ აპირებს. ჩვენ კონტრაქტით გახლავართ შეკრული, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ჩინებული ურთიერთობა გვაკავშირებს. მე და ადვოკაატს ერთმანეთის პატიოსნებაში ეჭვი არ გვეპარება. მითხრა, არაფერზე იღელვოო და ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია“.

ფეხბურთელი პასუხობს

კითხვა — პასუხი

— *ახალი ამბავი იცი?*

— ვიცი, ლოპესი „ლაციოში“ მიდის.

— *არა, ეაცო, უფრო საერთაშორისო.*

— მეტი საერთაშორისო რა გინდა?

— *ინგლისი ვერ გადის.*

— აბა ვინ?

— *შოტლანდია.*

— და შოტლანდიამ რა უნდა ქნას, რომ გავა?

— *რა უნდა ქნას. გავა და გამოვა. რაც არაერთხელ უქნია, იმას იზამს.*

— და ინგლისი რატომ ვერ გადის?

— *გოლს ვერ გაიტანს. გოლი თუ ვერ გაიტანე როგორ გახვალ?*

— შოტლანდია გაიტანს და ინგლისი ვერა?

— *ვერც შოტლანდია გაიტანს.*

— აბა, როგორღა გავა?

— *აი, მისმინე. დღეს გლაზგოში გოლი არ გავა. მერე წამოვლენ ლონდონში და და საუთგეიტი გაიტანს თავის კარში, შირერი კი ვერ გაიტანს სხვის კარში და შოტლანდია გავა.*

— მე თუ მკითხავ, შირერი საერთოდ აღარ უნდა ათამაშო.

— *არ გამოვა.*

— რატომ?

— *კაპიტნად ვინ იქნება?*

— ვინც გინდა იყოს, თუნდაც...

— *რას ამბობ? ჯვარი წერია და შირერი საერთოდ რომ არ იყოს ცოცხალი მის საფლავის ქვას მოიტანენ და დადგამენ საჯარიმოში...*

— როგორც კასკარინოს?

— *არა. კასკარინოს ქვა მხოლოდ ხანდახან შემოაქვთ.*

— ეჰ, შილტონი გაიხსენე.

— *ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა.*

— მაინც ინგლისი გავა.

— *შემადგენლობა უნდა გადაახალისოს.*

— როგორ გადაახალისოს, გოგოს რომ ჰგავს, ის ბიჭი შემოიყვანოს?

— *რატომ? კევინ ფილიპსი ჰგავს გოგოს?*

— კევინ ფილიპსს ნაკრებში რა უნდა?

— *რატომ, რახან გოგოს არ ჰგავს?*

— თუ ჩემ ბიჭს შემოიყვანს, ყველაფერი მოგვარდება.

— *შენი ბიჭი რომელია?*

— აი, ისა. მთავარი ბიჭი.

— *აა. მაგასაც რაღაც აღარ...*

— ეჰ, რა უბედურებაა? ვინც მომეწონება, ყველა ავსტრალიელია.

— *და გაზა?*

— როგორ?

— *გაზა რომ შემოიყვანოს?*

— ათი წლის წინ რომ ხდებოდეს ეს ყველაფერი...

— *ათი წლის წინ შოტლანდიას ვინ ალაპარაკებდა?*

— ათი წლის წინ მწვრთნელიც ცოტას იცინოდა და...

— *და?*

— და ავსტრალიელებიც ასე არ მომწონდა

მატჩი იყო ქარიანი...

თბილისი
12 ნოემბერი

ყოჩები 13:13 (8:10) დათვები

ყოჩები: კიკუაშვილი, ჭავჭავაძე, ფირიაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი, ჭელიძე, სოფრომაძე, სულთანიშვილი, გიორხელიძე (ხელაძე), ტეფნაძე, პეტრიაშვილი (გ. წიკლაური), ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, ლიპარტელიანი, იურინი
ლ — კიკუაშვილი, ტეფნაძე
ა — ტეფნაძე
დათვები: აშუთია, ფირცხალავა, რეხვიაშვილი, აბაშიძე (ნინიძე), ჩირგაძე (სვანიძე), გოგისვანიძე, აბდალაძე, ფხაკაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ძოწენიძე, შარვაშიძე, ხონელიძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე
ლ — ძოწენიძე
გ — მაჩიტიძე
2 ს — ნ. ძაგნიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი.
მეთვალყურე: რ. წეველაძე

ბესო ტეფნაძე: ხომ ვთქვი, გავიტან მეთქი!

გადრი კეთილაძის ფოტო

ოთხეულის თამაშები ყოველთვის საინტერესო და დაძაბულია. გუშინდელი მატჩის ინტრიგას ისიც აძლიერებდა, რომ ერთმანეთს ძველი მეგობრები და მეტოქეები შეხვდნენ. თუ გახსოვთ, ამ გუნდების ბოლო შეხვედრა ბათუმში „ყოჩების“ გამარჯვებით დასრულდა. ლოგიკური იქნებოდა, რომ „დათვები“ ყოველნაირად ცდილიყვნენ, რევანში აეღოთ. ეგეც არ იყოს, ჩემპიონობის ორი პრეტენდენტის შეხვედრა თავისთავად საინტერესოა. თამაშის დაწყებამდე პროგნოზებიც მრავლად იყო. ერთნი „ყოჩებს“ აძლევდნენ უპირატესობას, მეორენი — „დათვებს“. ყველაზე მცირერიცხოვანნი ფრეს წინასწარმეტყველებდნენ. როგორც გამოჩნდა, უმრავლესობა ყოველთვის მართალი არ არის.

ინტრიგა დებიუტშივე ჩაიხლართა. „ყოჩები“ თავგამოდებით ეკვეთნენ ზღვისპირელებს, პირველივე ბიძგით შეიჭრნენ მეტოქის დაცვაში და მისი რიგები არივ-დარიეს. „დათვებმა“ გაჭირვებით მოიგერიეს შეტევა და შემდეგისთვის მოემზადნენ. მეტოქემ მოულოდნელი სვლა გააკეთა. შეტევიდან უკან მიაწოდეს ტეფნაძეს და მანაც არეკნით გააძვრინა ბურთი ძელებს შუა. სამაგიერო მალევე გაახერხეს ბათუმელებმა: ნუგზარ ძაგნიძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

მცირე ხნით შესვენების შემდეგ ბათუმელთა რიგებში დაბრუნებული უფროსი ძაგნიძე ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა. მიუხედავად ამისა, მისი გამოცდილება და ოსტატობა გუნდს საკმაოდ წაადგა. მისი საჯარიმოს შემდეგ ღია თამაში გაჩაღდა. მეტოქენი გააზრებულად და ლამაზად ირჯებოდნენ, რაც ასე თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრაში ნაკლებად მოსალოდნელი იყო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მატჩი კორექტულად მიმდინარეობდა. მართალია, ნოდარ რობიტაშვილს ბევრი ჯაფა დაადგა, მაგრამ უკიდურესი ზომებისთვის არ მიუმართავს. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ განერვიულებულ ძაგნიძეს ბურთი წაართვა და მეტოქეს გადასცა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „ყოჩები“ მძლავრად მიაწვნენ მეტოქის დაცვას. მათი შერკინება უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ვიდრე ბათუმელებისა. ჰოდა, იქამდე აწვებოდნენ, სანამ ბურთი კიკუაშვილმა არ იგდო ხელთ, რომელმაც ორი მეტოქე გადათელა და ოვალი სალელოე მოედანზე დადო. ტეფნაძეს ძლიერმა ქარმა შეუშალა ხელი გარდასახვის შესრულებაში და ყოჩებმა მხოლოდ 5 ქულა მიითვალეს.

ლელოს გატანა ჩვენც შეგვიძლიაო, შეუძახეს ერთმანეთს „დათვებმა“ და ახლა თვითონ მიაწვნენ მოწინააღმდეგეს. „ყოჩები“ მედგრად დაუხვდნენ, თუმცა მონდომებამ მაინც თავისი გაიტანა. 22-მეტრიან ხაზთან ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ძოწენიძემ გაგრძელა. ყოფილმა აიელმა ბურთი მოიგდო, რამდენიმე მეტოქეს მოხდენილი ფანდებით დაუსხლტა და ძელებს შორის დადო. კიკუაშვილთან ანგარიში გასწორებული იყო, ქარის მიმართულებაც ხელსაყრელი და მაჩიტიძემ გარდასახვაც უნაკლოდ შეასრულა — 8:10.

შესვენების შემდეგ თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. ორივე გუნდი ფიზიკური მომზადებით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს ჩემპიონატში. ამიტომ დაღლილობა არც ერთს დასტყობია. „ყოჩებს“ რა ჰქონდათ დასაკარგი და უკანმოუხედავად შეუტიეს. აი, აქ გამოჩნდა მეტოქის ტაქტიკური მომზადების მთელი სიმდიდრე. ისინი საიმედო შებოჭვებით ზედიზედ შლიდნენ სტუდენტების შეტევებს, რამდენჯერმე დარტყმაზეც დაუფარეს და ერთ-ერთი შეტევისას შეცდომაც დააშვებინეს. მსაჯმა ჯარიმა დანიშნა ბათუმელთა სასარგებლოდ და ნუგზარ ძაგნიძემ საჯარიმო დარტყმით, ანგარიშში სხვაობა უფრო გაზარდა — 8:13.

ბათუმელებს იმედი-ჰქონდათ, რომ ბურთს თავის სასარგებლოდ დაასრულებდნენ, მაგრამ სტუდენტებსაც არ სურდათ თავიანთი შანსის ხელიდან გაშვება. თამაშის დასასრულამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი. ასეთი მატჩების ბედი ბევრჯერ შეუტრიალებიათ. მათაც არ დაახანეს და უფრო მაღალი ტემპი შესთავაზეს ზღვისპირელებს. შერკინება შერკინებას ცვლიდა, მეტოქეები ფეხითაც ხშირად თამაშობდნენ და დერეფანი ხან ერთ მხარეზე დაეწყობოდა, ხან — მეორეზე. ისე, უნდა ითქვას, რომ შერკინებებში და კიდიდან მოწოდებებში ხშირად „ყოჩები“ სჯობდნენ. ამან მალე თავისი ნაყოფიც გამოიღო.

სტუდენტებმა იერიშები უფრო გაამძაფრეს, მოლი დააყენეს და მიაწვნენ და მიაწვნენ. ნელ-ნელა ჩათვლის ხაზსაც მიუახლოვდნენ. ბათუმელები თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ, მოლის ჩაშლასაც თავგანწირულად ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ყოჩებმა ტეფნაძე მოიგდეს და პირდაპირ შეიტანეს სალელოე მოედანზე. ლელოს დადება ახლა უკვე ტექნიკის საქმე იყო და ტეფნაძემაც წაქცევა არ დააყოვნა. აი, გარდასახვის შესრულებაში ისევ ქარმა შეუშალა ხელი — 13:13.

მატჩი უკვე გადარჩენილი იყო და სტუდენტებმა უფრო მეტი მოინდომეს. მადა ჭამაში მოდისო და, მათაც, ეტყობა, აეშალათ საღერღელი. ოდნავ ნირწამხდარ მეტოქეს დაბნეულობა შეეტყო, წარმატებით ფრთაშესხმული „ყოჩები“ კი თავისას არ იშლიდნენ და გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებოდნენ. ბათუმელებმაც იგრძნეს მოახლოებული საფრთხე და თავდასაცავად მოემზადნენ. განსაკუთრებით ტეფნაძეს უფრთხოდნენ. მას ნამდვილად შეეძლო გამარჯვების ქულა მოეტანა გუნდისთვის არეკნითაც და საჯარიმო დარტყმითაც. ერთხელ კიდეც სცადა ტეფნაძემ 10-მეტრიანი ხაზიდან, ბურთმა იფრინა, იფრინა და კინაღამ ძელებს შორის გაძვრა, მაგრამ, მოგეხსენებათ, კინაღამ არ ითვლება.

ამის მერე ყოჩებმა ლელოს გატანა მოიწადინეს, მივიდნენ კიდეც სალელოე ხაზთან, მაგრამ დათვები კლდესავით დადგნენ და გოჯიც არ დათმეს. შემდეგ ისევ დიდი ჯაფით და ჭაპანწყვეტით მოეწინის შუა ხაზამდე ამოიტანეს ბურთი. ნოდარ რობიტაშვილი საათზე იყურებოდა, ხოლო საკმაოდ შემცივნული მაყურებელი შეხვედრის დამთავრებას ითხოვდა.

ბოლოს, ეტყობა, მსაჯს შეეცოდა გაყინული გულშემატკივარი და თამაში დაასრულა.

სატურნირო ცხრილში გუშინდელ მეტოქეებს შორის შუალედი იგივე დარჩა.

ეროვნული არქივი

რეკორდი არ გამოვიდა

თბილისი
12 ნოემბერი

ლოკომოტივი 1 38:15 (12:12) ასკ

ლოკომოტივი I: კერესელიძე, ჯიბლაძე, ხინჩაგაშვილი, ჩადუნელი, უდესიანი, ჩხენკელი (კახიანი), სუჯაშვილი, ალანია, სარიშვილი, ასათიანი, ბუგიანიშვილი, ბესელია, ცხადაია, გუგავა, მხეიძე
ლ — სუჯაშვილი, ბუგიანიშვილი, კახიანი. 3 ლ — ასათიანი
4 გ — მხეიძე
ასკ: ზ. მაისურაძე, გ. მაისურაძე, შენგელია, მათიაშვილი, ვალიშვილი, სვანიძე, უჩავა, კაკაბაძე, კოდუა, მაღრაძე, კილაურიძე, კაპანაძე, საკანდელიძე, ზაქარიაძე (ხვიჩია), კიკნაძე
ლ — ვალიშვილი, მათიაშვილი
2 გ — კიკნაძე
მსაჯი: ა. ღიბრაძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე

ლოკომოტიველთა (ზოლიან მაისურებში) პირველი ლელო

გადრი კეთილაძის ფოტო

გუნდები სანახევროდ მეორე შემადგენლობებით წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე. მარტო აქედან ჩანს, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თემურ ბენდიაშვილი და ლევან მგელაძე ამ შეხვედრას. შემდეგ და შემდეგ ცხადი გახდა, რომ თამაში მხოლოდ საწვრთნელ ხასიათს ატარებდა.

ლოკომოტიველებს თოფურიძე და კვინიხიძე აკლდათ. მათ დისკვალიფიკაცია აქვთ. სამაგიეროდ გამოჩნდა სასჯელმოხდილი ასათიანი, რომელმაც მართლაც სანახაობად აქცია ეს შეხვედრა. რკინიგზელებმა დაწყებისთანავე შეუტიეს და პირველივე წუთზე სუჯაშვილმა თანაგუნდელების დახმარებით ლელო გაიტანა. ლოკომოტივმა პირდაპირ გადათელა მეტოქე და მხეიძის შესრულებული გარდასახვის შემდეგ 7 ქულით დაწინაურდა.

იღბლიანი დებიუტის მერე რკინიგზელთა იერიშები უფრო გამძაფრდა, მაგრამ არმიელებიც მედგრად დაუხვდნენ. ერთხანს მეტოქეებმა ტოლსწორად იპაექრეს, მაგრამ კვლავ იძალა ლოკომოტივმა და ახლა ასათიანი გაიქცა ფლანგზე. მას ვერავინ დაეწია და 7 ქულას 5-იც მიუმატა.

ლევან მგელაძე განერვიულდა. მართალია, მისთვის თავიდან იყო ყველაფერი გარკვეული, მაგრამ აღსაზრდელების შეცდომების შემხედვარე თავს ვერ იკავებდა. ეტყობა, მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და არმიელებმა თამაში დაალაგეს — შეამჭიდროვეს თავიანთი რიგები, მძლავრად გაისროლეს და მიზანშიც მოახვედრეს. ასკ-ის მორაგბეები მარცხენა ფლანგზე გაიქცნენ ჯგუფურად და ვალიშვილის წყალობით ლელო გაიტანეს. იმ დღეს უჩავა თავს იკავებდა დარტყმების შესრულებისგან და გარდასახვა კიკნაძემ შეასრულა.

ლევან მგელაძე გამხიარულდა. მისი ბიჭები ისევ აწვებიან. ახლა შეტევა მარჯვენა ფლანგზე გადაიტანეს და ისევ გაიქცნენ. მეტოქემ მათი რბოლა შეაფერხა, მაგრამ მათიაშვილმა იყოჩაღა და ნახტომში დადო ბურთი სალელოე მოედანზე. ანგარიში გათანაბრდა. წინათ გავიდოდნენ არმიელები, მაგრამ კიკნაძემ რიგიანად ვერ შეასრულა გარდასახვა.

შესვენების შემდეგ მთელი თამაში „ლოკომოტივის“ იყო. არმიელები დაიღალნენ. რკინიგზელებმა ძალ-ღონით აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. ამის დასტური მრავლად იყო შეხვედრის მეორე ნახევარში.

რკინიგზელებმა კომბინაციების დასამუშავებელ პოლიგონად აქციეს მინდორი. მათ მრავალსვლიან გათამაშებებს არმიელები აშკარად ალღოს ვერ უღებდნენ. რაგბს მონატრებული, მოულოდნელი ასათიანი კი ყველა ყველა ეპიზოდში მონაწილეობდა, თითოეული შეტევის სული და გული იყო და მის სისწრაფეს მეტოქე გუნდის მორაგბეები ვერაფერს უპირისპირებდნენ.

მეორე ტაიმი რკინიგზელებმა ისევ შეტევით დაიწყეს. ცოტა ხანს კიდევ ეწინააღმდეგებოდნენ არმიელები, მაგრამ ბოლოს გატყდნენ. რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს. რკინიგზელებმა მოლი დააწყვეს და თითქმის 10-მეტრიანი ხაზიდან მივიდნენ სალელოე მოედანამდე. აქ სამხედროები ჩაუწვნენ, მაგრამ მეტოქემ ბურთი ბუგიანიშვილს გადასცა და იმანაც კიდის ხაზთან დადო ლელო. მხეიძემ ვერ შეძლო გარდასახვა და ანგარიში მხოლოდ 5 ქულით გაიზარდა.

რკინიგზელები არ ცხრებიან. მართალია, მათ უკვე მოიპოვეს პრემიალური ქულა, მაგრამ ეტყობათ, გულით სურთ, „ყოჩებს“ ლელოების რაოდენობით აჯობონ (შეგახსენებთ, „ყოჩებმა“ ასკ-ს ოთხეულის თამაშებში რვა ლელო გაუტანა). ისევ აწვებიან მეტოქეს და კვლავ ასათიანი ირჯება გამორჩეულად. ისევ მას აწვდიან ოვალურ ბურთს, ისიც გარბის, რამდენიმე მეტოქეს შორის გასხლტება და ლელო. ამჯერად მხეიძე არ აწბილებს თანაგუნდელებს და ანგარიშს კიდევ 7 ქულა ემატება — 24:12.

სასოწარკვეთილმა არმიელებმა ძალა მოიკრიბეს და ძლივს გადაიტანეს თამაში მეტოქის ნახევარზე. ვაი-ვაგლახით ჯარიმის უფლება მოიპოვეს. კიკნაძეს რომ არ გაეტანა, ასკ-ის მორაგბეები ალბათ, სულით დაეცემოდნენ, მაგრამ კიკნაძემ 3 ქულა მოიპოვა და გუნდის იმედიც გადაარჩინა.

არმიელებიც იბრძოდნენ, თამაშობდნენ, როგორც შეეძლოთ, მაგრამ მეტოქე მათზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა.

ლოკომოტივი აღარ მალავდა, რომ სათამაშო ელემენტების დამუშავება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამ თამაშში გამარჯვება. მატჩი ისედაც მოგებული იყო. და აი, შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზებში უკვე ხმამაღლა არჩევენ, რა გააკეთონ, მოლით მივიდნენ ჩათვლის ხაზთან, თუ ბუგიანიშვილი გააქციონ. ახლა უკვე იმაზე ფიქრობენ, რაც შეიძლება ლამაზად გაითამაშონ ესა თუ ის კომბინაცია.

...მრავალსვლიანი გათამაშების დასასრულს ალანიამ თავს ზემოდან კოხტად ჩაუგდო ბურთი ასათიანს. ისიც ცრუმოძრაობებით გაუძვრა მეტოქეს და გაიქცა. მას ვინ დაეწეოდა და კიდევ ერთი ბურთი დაიდო არმიელთა სალელოე მოედანზე.

...რკინიგზელებმა მოლი გააწყვეს, შუაში კახიანი მოიქციეს და მან დაასრულა კიდეც არმიელთა განადგურება. უფრო სწორად, მხეიძემ დაბოლოვა მეოთხე გარდასახვით თავისი გუნდის ძალისხმევა — 38:15.

თამაშის დამთავრების შემდეგ ყველა მშვენიერ გუნებაზე ტოვებდა სასოფლო აკადემიის სტადიონს.

ზაზა ბენიძე

საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური

ანონსი

13 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00
შევარდენი — ვითა

13 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45
ასკ — სსუ

13 ნოემბერი. ბათუმი. 14.00
ბასკო — მაკაბი

14 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00
გორი — სდასუ

14 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45
სტუ — თსუ

14 ნოემბერი. რუსთავი. 14.00
აზოტი — დინამო

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ანონსი რაიმეს მიმოხილვას, ამასთანავე პროგნოზირებასაც ნიშნავს. პროგნოზები კი ყოველთვის როდი მართლდება. ჩვენს გამარტივებულ და ერთი შეხედვით ადვილად განსაჭვრეტ კალათბურთშიც კი ხშირად ხდება-ხოლმე მოულოდნელობები და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ მცირე ჰეწსა და ლაზათს ჯერ კიდევ ინარჩუნებს ჩვენი შინაური კალათბურთი, ერთნული ჩემპიონატი რომ ჰქვია.

ჩვენ უკვე შევეგუეთ, რომ ქართული კალათბურთი კარგა ხანია, ველარ არის ძველებურად ხიბლიანი და თვალსასაერო. მაგრამ, გვინდა არ გვინდა, ჩვენ ერთი უტყუარი ფაქტის წინაშე ვდგავართ: ტური არ ჩაივლის, რაიმე სენსაციის მაგვარი არ მოხდეს.

რას ნიშნავს ეს? რაიმე დამატებით ინტრიგას, მავანთა და მავანთა საქმისადმი არასერიოზულ მიდგომას თუ იმას, რომ ბურთი მრგვალია?..

ამ კითხვას, ვფიქრობთ, ვერასოდეს გაეცემა პასუხი. ალბათ, მანამ, სანამ სპორტი იარსებებს — იგი ხომ საერთოდ წარმოუდგენელია სენსაციის გარეშე.

იმის თქმა გვსურს, რომ ყოველი შაბათის „სარბიელში“ წარმოდგენილი ანონსი, რომელიც საკალათბურთო პირველობის ტურებს წინ უძღვის გახლავთ ერთგვარი მოსაზრება, მკითხველთათვის ჩვენეული აზრების შეჯერებული სახით მიწოდება და სულაც არ არის აუცილებელი, რომ ჩვენი წინასწარმეტყველება ახდეს. ასე რომ იყოს, ერთნული ჩემპიონატი, ისევე, როგორც ეს კონკრეტული რუბრიკა, აზრს დაკარგავდა. უაზრო და უსარგებლო კი სხვაც ბევრია ქვეყანაში და ჟამიდაჟამ თითოეული ჩვენგანი ამას ცხადად ვგრძნობთ.

დროა, მოვეშვათ ასეთებს და მიმოვიხილოთ შემდეგი, მეშვიდე ტური, ამ უქმეებზე რომ შედგება. გასამართ შეხვედრებზე ერთი თვალის გადავლებითაც მივხვდებით, რომ ამ ტურში ცენტრალური სტუდენტური დერბი — სტუ-თსუ-ა.

დიახ, დიახ, ამ გეშლებათ, სწორედ ეს გუნდები ეცილებოდნენ მესამე ადგილს მერვე ეროვნულში. შარშანდელ მცირე ფინალს თან გვარიანი ვნებათაღელვაც ახლდა. ყველაფერი გადამწყვეტ მეხუთე მატჩის ბოლო წამებზეა გაირკვა: სტუ აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ტექნიკოსებმა ხელიდან გამოსტაცეს ბრინჯაო უნივერსიტეტელ კოლეგებს და საჩემპიონოდ შემართულებმა ცალსახად მაინც გაიხარეს.

როგორ გგონიათ, ყველაფერი ეს დღეს აღარავის ახსოვს? ნურას უკაცრავად, არ გახლავთ ნოდარ ქორქია და მისი სამწყსო ასეთი გულმავიწყი. დღეს კი არა, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაჰყვება თსუ-ს ის წყენა...

როგორი საქმეა, ყოველივე ამის შემდეგ ეს მეტოქეები ხვალ პირველად წარდგებიან ერთმანეთის წინაშე. თუ თსუ გულის მოოხებას და ნაწილობრივ ვალის დაბრუნებას შეეცდება, სტუ-საც აქვს თავის სამყოფი საამტჩო მოტივაცია. მეშვიდე ტურის ზღურბლზე ჩემპიონობაზე მონადირე ტექნიკოსები დიახაც რომ შეუფერებელ, მეექვსე ადგილზე იმყოფებიან და სხვა თუ არაფერი, ელიტაში ანაცვლება სურთ. ბოლოს და ბოლოს, ერთგული გულშემატკივარიც ხომ უნდა დაჯეროს სტუ-მ თავის სიძლიერეში.

ჰოდა, ამაზე უკეთეს შანსს ვერც ინატრებდა ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი. სწორედ თსუ-ს დამარცხებაა ის ერთადერთი გამოსავალი, რამაც სტუ-ს პრესტიჟს ხავსი უნდა შემოაცალოს. რომ იტყვიან, უკანდასახევი გზა მოჭრილია.

ამ შეხვედრაში თსუ ნამატით წარსდგება. უნივერსიტეტელთა რიგებში ამ სეზონში პირველად ვიხილავთ ლევან მგალობლიშვილს, რომელიც უდავოდ გააძლიერებს გუნდის უკანა ხაზს. მგალობლიშვილი კარგი მსროლელია, ისევე, როგორც თსუ-ს ლიდერი გოჩა წოწელია და, ალბათ, სწორედ ამ ორი კალათბურთელისგან უნდა ელოდეს მეტოქე განსაკუთრებულ საფრთხეს. ძალიან კარგად შეეწყო ქორქიას გუნდს ყოფილი დინამოელი შიო ხეცურიანი. ეს ბიჭი ძირითადად დაცვაში თამაშისას ავლენს თავის სიძლიერეს, ამასთანავე, პირველ შეტევებშიც დაუყოვნებლივ ერთვება. შიოც უკანასახელია და საერთოდაც, ეს არის თსუ-ს ყველაზე მობილური რგოლი.

ამას ვერ ვიტყვით უნივერსიტეტელთა წინა ხაზზე, რომელსაც კვირას ძალიან დააკლდება ფეხმტკივანი გიორგი მარკოიშვილი. მართალია, თსუ-ს ცენტრზე ჰყავს გამოცდილი გიორგი ბერუაშვილი, მაგრამ „ჯაგას“ აღარც ძველებური ჯანი ერჩის და არც მუხლი უჭრის ისე, ტანმაღალი გოდერძი კორძაძის, ნაცადი ამროსი ორმოცაძის, ახალგაზრდა ვახტანგ მინაშვილისა და განსწავლული ვასილ ოთიურიძის ფარზე ბატონობა რომ ალაგმოს. ამ მხრივ მართლაც აშკარაა ტექნიკოსთა უპირატესობა და ახლა მთავარია, თუ რამდენად ნაყოფიერად აამოქმედებს ჭეიშვილი მის ხელთ არსებულ რეზერვებს.

ხვალ მოედანს დაუბრუნდება და თავისიანთა შეტევებს წარუძღვება სტუ-ს დისკვალიფიკაციამოხდილი გამთამაშებელი დავით თორთლაძეც. მან უნდა მართოს სტუ, თანაგუნდელები დროული პასებით ამარაგოს და თუ ეს მოახერხა, უეჭველად შედეგზეც აისახება.

ამ მატჩს ინტრიგას ისიც მატებს, რომ თუ სტუ-მ შეძლო მეტოქის დამარცხება, მას უკან მოიტოვებს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ტექნიკოსებმა ორი და მეტი ქულით მოუგეს თსუ-ს. გათამაშების ცხრილი და მოწინააღმდეგეთა ჩაგდებულ-გაშვებული ბურთების ბალანსი სწორედ ამაზე მიუთითებს.

მსგავსი დაპირისპირებისას ვერის ბაღს ძალიან ხშირად სტუმრობენ როგორც ერთი, ასევე მეორე სასწავლებლის რექტორები — როინ მეტრეველი და რამაზ ხუროძე. ეს მეტოქეთა ბანაკებში დამატებით აჟიოტაჟს იწვევს.

ახლა სხვა შეხვედრებზეც ვთქვათ. დავიწყოთ იმით, რომ ჯერაც გაუმარჯვებელ სსუ-სა და ასკ-ს შორის ერთ-ერთი აუცილებლად შეწყვეტს ამ უქმეებზე დანავსულ სერიას. ისინი შაბათს ერთმანეთს ხვდებიან და რაკი კალათბურთში ფრე დაუშვებელია (გამონაკლისი შემთხვევების გარდა), რომელიმე მათგანი უეჭველად ორ ქულას შეიმატებს აქტივში. თუ ვინ იქნება ეს, ღმერთმა უწყის, ჩვენ კი მაინც ვაჟა ჭოტაშვილის ასკ-სკენ ვიხრებით.

გათამაშების ერთიპიროვნული ლიდერი — ბათუმის „ბასკო“ ამ ტურში „მაკაბის“ უმასპინძლებს. „მაკაბის“, რომელმაც რიხით დაიწყო პირველობა, ზედიზედ სამჯერ მოიგო, მაგრამ მერე ამდენჯერვე წააგო და სატურნირო ცხრილის შუაგულში ჩაიკარგა. ზღვისპირელთა უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ ახლავე უნდა ვთქვათ — აჭარელთა წარმატებულ სვლას არც ამჯერად ემუქრება საფრთხე.

ძალიან მიზერული შანსით, შეიძლება ითქვას, უიმედოდ გაემგზავრება „დინამო“ რუსთავში. „ბასკოსთან“ შინ მარცხნაწვნევი ოთარ ხმელიძის „აზოტი“ იქნებ ცოტა გაოგნებულია და ჯერაც არ გამოსულა იმდღევანდელი შოკიდან, მაგრამ ისე არ დამბუნდება, მეტისმეტად ახალგაზრდულ „დინამოსთან“ წაიფორხილოს.

წესით, არც სდასუ-ს უნდა გაუჭირდეს „გორის“ დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში შეიდგზის ჩემპიონ „ვითაზე“ 32 ქულით გამარჯვებული ქართლელები ახლაც თავისას შეეცდებიან. სდასუ მაინც ძლიერია „გორზე“, ამ გუნდს ოსტატებიც მეტოქეზე მრავლად ჰყავს და მატჩის ბედსაც, ალბათ, ეს-გადაწყვეტს.

და აი, მივაღწიეთ: „შევარდენი“ — „ვითა“. ძველი დრო რომ იყოს, ადვილი მისახვედრია, რასაც ვიტყოდით, ახლა კი...

შევარდენელებმა მოგვიტევონ და არც ვითელებს გაუკვირდეთ, თუ წერტილს აქვე დავსვამთ.

გიორგი გიკაშვილი



REUTERS მიწოდებისაგან

მინესოტა — ნიუ იორკი. მასპინძელი ბობი ჯეკსონი (ბურთით) კრის ჩაილდრესის წინააღმდეგ

11 ნოემბერი

კლივლენდი 103:109 სიეტლი

კლივლენდი: ნაითი (8), სურა (17), ჰენდერსონი, კემპი (22 ქულა, 14 მოხსნა), დეკლერკი (19); პერსონი (10), ფერი (9), ლანგდონი (8), მილერი (6), ბრაიანტი (4), სტეკი (2)

სიეტლი: პეიტონი (27 ქულა, 9 პასი), ბერი (17), პატერსონი (10), ბეიკერი (24 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (8 ქულა, 10 მოხსნა); მაქსველი (10), ლუისი (6), მაკკოი (4), სტეფანია (3 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი), ვილიამსი, ბორელი

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ მშვენივრად ჩაატარა თავისი მეექვსე შეხვედრა, მისმა ქართველმა ცენტრმა სტეფანიამ კი საკმაოდ შედეგიანი რვა წუთი დაჰყო მოედანზე. ქართველმა იცის ფარქვეშ თამაში. ბუნებას მისთვის ცოტა მეტი ფიზიკური ძალა რომ მიეცა, ნბაში პირველი ქართველი დღეს იქნებ „სუპერსონიქსის“ სასტარტო ხუთეულშიც გვეხილა. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დღესდღეობით ჯან-ღონე მეფობს, ანუ ის, რაც თეთრებისგან განსხვავებით უხვად აქვთ ზანგებს. „კლივლენდთან“ შეხვედრაში კი სტეფანიამ ტოლი არ დაუდო ჯანიან შავკანიანებს და სამ ქულასთან ერთად ხუთჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, მათგან ორი მეტოქის ფარიდან, რაც უფრო მეტად ფასობს. ამასთან ვოვამ ერთი შედეგიანი გადაცემაც გაახერხა და მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა მეტოქეზე. ყოველივე ეს ურიგო სულაც არაა რვა წუთში.

„სუპერსონიქსი“ ჯერჯერობით კარგად გამოიყურება. სტუმრად საკმაოდ ძლიერი „კლივლენდის“ ძლევის შემდეგ „ზებგერითებს“ ექვს თამაშში ხუთი გამარჯვება მოუგროვდათ და „ლეიკერსთან“ ერთად ლიდერობენ წყნარი ოკეანის დივიზიონს. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ გრძელი, მომქანცველი სეზონია, რომელსაც ბევრი გუნდი ვერ უძლებს. გასული სეზონი „სიეტლმა“ ისე დაიწყო, მისი შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ჩემპიონობისთვის იბრძვიანო. სტეფანიას გუნდმა პირველი ექვსი თამაში მოიგო და სანამ პირველ მარცხს იწვნევდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ერთადერთი წაუგებელი გუნდი გახლდათ. მერე მონასტერი აირია და პირველად ბოლო რვა წლის განმავლობაში „სუპერსონიქსი“ სულაც პლეიოფის მიღმა დარჩა.

ეს შეხვედრა საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან „კლივლენდში“ თამაშობს ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი შონ კემპი, რომელიც ამ კლუბში ორი წლის წინ სწორედ „სიეტლიდან“ გადაბარგდა, სადაც მანამდე რვა სრული სეზონი ითამაშა და „ზებგერითების“ ლიდერიც გახლდათ (გერი პეიტონთან ერთად). კემპის სანაცვლოდ „სიეტლმა“ ვინ ბეიკერი მიიღო და ახლა ამ თამაშში „სუპერსონიქსის“ ძველი და ახალი თავდამსხმელი ერთმანეთის წინაშე წარდგნენ. მძლავრმა მოთამაშეებმა ერთმანეთი საფუძვლიანად გააწამეს და მათ პირად ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, ვერავინ გამოვიდა გამარჯვებული. მატჩის გმირი მაინც სხვა იყო. „მის გარეშე ამ თამაშს ვერ მოვიგებდით“ — თქვა სიეტლელთა დამრიგებელმა პოლ ვესტფოლმა და პეიტონს დიადი მოთამაშე უწოდა, რადგან სწორედ მან დაიდო ლომის წილი სტუმართა გამარჯვებაში. არადა, დიდი შანსი იყო, პირიქით მომხდარიყო.

მეორე მეოთხედი იწურებოდა, როცა „სიეტლის“ გამთამაშებელმა ზურგის არეში ყრუ ტკივილები იგრძნო და ორიოდ წუთში კუნთების სპაზმები დაეწყო. პეიტონი სასწრაფოდ შეცვალეს და თავს ექიმები დაახვიეს. ექიმებმა რა არ იღონეს, ბლომად გამაყუჩებლები მიაღებინეს და ბოლოს სტიმულატორიც გაუკეთეს. გერიმ თავი უკეთ იგრძნო და ვესტფოლმა გარისკა, იგი მოედანზე შეუშვა, რადგან მისი გუნდი აგებდა. პეიტონიც ჩვეულად დატრიალდა და მესამე მეოთხედის დასაწყისში არსებული ოთხქულიანი ჩამორჩენა მეოთხედის მიწურულს თორმეტქულიან უპირატესობაში გადაიყვანა. ბოლო მეოთხედში დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კემპმა და მისმა გუნდმა ვერ შეძლეს, „სიეტლს“ დასწეოდნენ, მხოლოდ სხვაობის განახევრებაღა მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ „სიეტლის“ კუბელმა ახალბედამ ლასარო ბორელმა მოირჩინა მცირე ტრავმა და ვესტფოლმა იგი 12-კაციან შემადგენლობაში ვინსონის ნაცვლად შეიყვანა. ბორელმაც ერთი წუთი დაჰყო მოედანზე და ოფიციალურად შეიქმნა პირველი კუბელი, რომელსაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში უთამაშია.

ირაკლი ფირაშვილი

მინესოტა 93:90 ნიუ იორკი

მინესოტა: გარნეტი (35 ქულა, 14 მოხსნა), შერერბიაკი (23)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (29), სპრიუელი (20), კემბი (18 ქულა, 11 მოხსნა)

ინდიანა 116:101 ორლანდო

ინდიანა: მილერი (21)

ორლანდო: არმსტრონგი (22)

დეტროიტი 106:123 ტორონტო

დეტროიტი: ჰილი (25), სტეკჰაუზი (21), ლეიტნერი (18)

ტორონტო: კრისტი (24), კარტერი (22 ქულა, 11 მოხსნა), ვილისი (18 ქულა, 13 მოხსნა)

მაიამი 128:105 დალასი

მაიამი: მაშბურნი (34), მურნინგი (18)

დალასი: ნოვიცკი (23)

ბარკლის ონილის ნახევარი აკმარეს

ის, რაც 10 ნოემბერს „ჰიუსტონ“ — „ლეიკერსის“ შეხვედრაზე მოხდა, ალბათ, ძალიან იშვიათია. იმ ღამეს მატჩის სანახავად მისულმა ჩვიდმეტმა ათასმა კაცმა და სულ ცოტა, მილიონმა ტელემაყურებელმა იშვიათი ჩხუბი იხილა. თან ვისი, არ იკითხავთ? ლეიკერსელი შაკილ ონილი, ლიგის ყველაზე მძიმეწონოსანი კალათბურთელი, ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ჩარლზ ბარკლის, ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მოთამაშეს, რომელსაც უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს.

მსაჯებმა, რაღა თქმა უნდა, ორივე მიაბრძანეს მოედნიდან, ერთი დღის შემდეგ კი ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა მომხდარის თაობაზე და დასკვნაც გამოიტანა. ორივე ჩხუბისთავს ერთმანეთჩაიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და ფულადი ჯარიმებიც გადაახდევინეს. შაკილ ონილს, როგორც ჩხუბის წამომწყებს, 10 ათასი დოლარით შეუმსუბუქდა ჯიბე, ჩარლზ ბარკლს ამის ნახევარი აკმარეს.

აი, რას ამბობს ონილი ამის თაობაზე: „ჩარლზს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა თამაში და არასპორტულად იქცეოდა. მე ჩემს თავს ვკიცხავ, რომ ემოციები ვერ შევიკავე, მაგრამ იგი მეტს იმსახურებდა, ვიდრე მოხვდა. ისე ძალიან გაუმართლა. ბიჭებს რომ არ გავეჩერებინე, შუაზე გავგლეჯდი“.

36 წლის ბარკლის შეხვდა ლიგის კომისარი დევიდ შტერნი და დიდხანს მამაშვილურადაც ესაუბრა. თუმცა, საბოლოოდ მგლისა და სახარების მსგავსი რამ გამოვიდა. აი, იმ საუბრის მცირე ნაწყვეტიც:

შტერნი: მისტერ ბარკლი, თუ შეიძლება ახსენით, რატომ არჩიეთ ბურთის სროლა მისტერ ონილისთვის.

ბარკლი: იმიტომ, რომ ძალიან გავცეცხლდი.

შტერნი: ასეთი ქმედება 10 ათასი დოლარით ისჯება.

ბარკლი: დიდი საქმე, კარგ რესტორანში ერთი სადილის ფულია.

ხალხი სულაც არ არის ხერ ჩარლზის მიმართ კარგად განწყობილი. აი, რას ამბობს ერთ-ერთი იქაური ჟურნალისტი: „ბარკლი კალათბურთიდან უნდა წავიდეს არა იმის გამო, რომ მან ფეხები დაკარგა (მას ფეხების ქრონიკული ტრავმა აქვს), არამედ იმიტომ, რომ ჭკუა დაკარგა“.

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 10-11 ნოემბერი

A ჯგუფი

შოლე 48:66 პაოკ

შოლე: ბარდე, ბილონი, დიუბო (4), ევოდო (1), კარავალია (2), გოტიე (13), შეიესი (5), ჟანო (8), მიკუ (2), მილერი (13)

პაოკ: ალექსანდერი (8), ანგელიდისი (4), ბალოიანისი (13), კოლდებელა (3), ედვარდსი (24); იანულისი (4), მასლარინოსი, პერალი (8), ვეტულასი (2)

ბენეტონი 68:72 ბარსელონა

ბენეტონი: ედნი (15), მარკონატო (12), ნეესი, ნიკოლა (17), პიტისი (1), სანტოსი, შეპარდი (15), ტრაინა (8)

ბარსელონა: ალსტონი (8), დე ლა ფუენტე (9), დიგბო (2), დუენიასი (19), ელსონი (2), გოლდვაიერი (10), გუროვიჩი (7), ნავარო (9), როდრიგესი (6)

ცრვენა ზვეზდა 65:80 ცსკა

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (4), ბოშკოვიჩი, იესტრატიევიჩი (17), ლუკოვსკი (13), რადმანოვიჩი (6), რაკოჩევიჩი (22), ტიცა, ტოპალოვიჩი (3)

ცსკა: ალანოვიჩი (7), დაინეკო (24), ეინიკისი (6), კარასიოვი (18), კირილენკო (9), კუდელინი (8), პანოვი (2), სკელინი (6), ვეტრა

B ჯგუფი

ჟალგირისი 65:67 რეალი

ჟალგირისი: ბეკი (2), მასიულისი (2), შესტოკასი (7), სლანინა (6), სტუმბრისი (2), ტიმინსკასი (18), ზიდეკი (9), ე. ჟუკაუსკასი (15), მ. ჟუკაუსკასი (4)

რეალი: ა. ანგულო (6), ლ. ანგულო (10), ჯორჯევიჩი (12), გალილეა, გნადი, ერეროსი (10), იტურბე (2), ლარსენი, სკოტი (20), სტრიულენსი (7)

ოლიმპია 78:83 ალბა

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (10), ბრეჟეცი (8), დუშჩაკი (6), გოლემაცი (2), იასიკევიჩუსი (10), კოტნიკი (7), მილიჩი (18), ზადრავეცი (3), ზდოვცი (14)

ალბა: ალექსისი (28), ბაეკი (3), ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (5), ჰამინკი (14), კინგი (14), ოკულაია (4), პაპიჩი (2), როდლი (8)

პანათინაიკოსი 79:74 თოფაში

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (15), ბუდურისი (4), ბერკი (4), ფოცისი (4), კალაიძისი (10), კატაში (8), კოხი (4), რებრაჩა (16), როჯერსი (14)

თოფაში: ბაში (4), ერდენი, გრიფიტი (8), ქონუქი (5), ოქური (6), ფარსი, რიმაცი (16), რივერსი (23), როჯერსი (9), ილმაზი (3)

C ჯგუფი

ვილერბანი 61:54 ოლიმპიაკოსი

ვილერბანი: ბილბა (7), ბლომი (1), ლარანიაგა (21), ლოვერნი (2), მაქსი (14), პერსევო, პლუვი (2), სამი (2), სონკო (12)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (8), დე მიგელი (8), გრანტი (8), პაპანიკოლაუ (2), რობინსონი (7), ტარლაჩი (8), ტომიჩი (2), ვუკჩევიჩი (11)

ულქერი 79:70 ვარეზე

ულქერი: ჯ. ალენი (15), აიდინი (2), ერდენაი (19), გონლუმი (9), კოტუროვიჩი, ოზთურქი (11), რენკინი (3), სარიჯა (12), თოფსაკალი (8)

ვარეზე: კ. ალენი (2), ფოიერა, ჯადინი, მენეგინი (22), პოცეკო (18), ვესკოვი (7), ვუხერერი (12), ზანუს-ფორტესი (9)

პივოვარნა 87:92 მაკაბი

პივოვარნა: დრაგშიჩი (13), გოლოვიცი (26), ჰაფნარი (21), იურაკი (9), კუნცი (4), ლისიცა (12), ნახბარი (2), ჟარკოვიჩი

მაკაბი: ბრისკერი (6), კომეგისი (2), ჰენფელდი (8), ჰაფმანი (26), ჯამჩი (16), მაკდონალდი (8), პოპა (3), შარფი (7), შეფერი (14), შელეფი (2)

D ჯგუფი

ეფესი 99:63 ფორტიტუდო

ეფესი: ბეშოქი (18), დრობნიაკი (7), ქუთლუაი (35), მულაომეროვიჩი (18), ონანი, სანჯარი, თურქოღლუ (20), ვექილოღლუ (1)

ფორტიტუდო: ანკიზი (5), ბაზილე (10), ფუჩკა (7), გალანდა (6), გაი (3), კარნიშოვასი (14), იარიჩი (9), პილუტი (4), ს. ვრანკოვიჩი (5)

ბუდუჩნოსტი 95:90 ციბონა

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (28), ბულატოვიჩი (6), კუზმანოვიჩი (2), პაიოვიჩი (7), რადონიჩი (6), ტომაშევიჩი (29), ტოპიჩი (13), ვუკჩევიჩი (4)

ციბონა: ალიპოვიჩი (2), გირიჩეკი (23), კრსტიჩი (11), მარცელიჩი (10), პრკაჩინი (10), სარლია (6), სესარი (22), ი. ვრანკოვიჩი (6), ჟურიჩი

კახა სან ფერნანდო 77:60 პო ორტეზი

კახა სან ფერნანდო: კარგოლი (5), კორალესი (8), ფერნანდესი (2), ფორტიე (8), რომერო (5), სკოტი (13), სმიტი (16), სოლანა (6), ტერნერი (14)

პო ორტეზი: კალაბრია (2), ფატუ (2), დ. გადუ (7), ტ. გადუ (15), გულიაში (8), მაზინგი (4), რიზაშე (10), ტეილორი (10), ჩილოემბა (2)

	A ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1	ბარსელონა		75:67	76:55	69:51	17.11	8.12	6	1	532:473	13
2	ცსკა	76:72		17.11	77:75	74:54	86:62	5	2	523:486	12
3	პაოკ	15.12	83:63		8.12	83:76	82:53	4	3	499:450	11
4	ბენეტონი	68:72	16.12	69:66		73:57	88:63	4	3	497:468	11
5	შოლე	70:77	8.12	48:66	64:73		69:59	1	6	438:505	8
6	ცრვენა ზვეზდა	86:91	65:80	65:64	18.11	16.12		1	6	453:560	8

	B ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1	პანათინაიკოსი		96:69	16.12	100:80	79:74	86:82	7	0	580:484	14
2	რეალი	8.12		90:75	76:74	16.12	60:70	4	3	496:520	11
3	ალბა	54:73	18.11		69:74	81:55	80:64	3	4	508:510	10
4	ოლიმპია	18.11	73:63	78:83		87:92	16.12	3	4	551:567	10
5	თოფაში	59:64	67:71	76:66	9.12		18.11	3	4	491:510	10
6	ჟალგირისი	66:82	65:67	8.12	84:85	62:68		1	6	493:528	8

	C ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1	ვილერბანი		16.12	61:54	84:71	60:59	100:58	5	2	501:453	12
2	მაკაბი	73:61		54:65	18.11	89:74	84:62	5	2	542:493	12
3	ოლიმპიაკოსი	65:55	65:63		62:69	18.11	8.12	4	3	453:429	11
4	ვარეზე	9.12	79:87	16.12		82:86	80:70	3	4	534:541	10
5	ულქერი	73:80	9.12	64:86	79:70		68:78	2	5	503:545	9
6	პივოვარნა	17.11	87:92	63:56	73:83	16.12		2	5	491:563	9

	D ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1	ციბონა		71:69	93:87	71:61	69:63	18.11	5	2	554:542	12
2	ეფესი	15.12		73:57	99:63	73:67	69:65	4	3	482:461	11
3	სან ფერნანდო	9.12	62:43		60:52	75:73	77:60	4	3	492:473	11
4	ფორტიტუდო	92:78	76:56	18.11		8.12	83:58	4	3	510:497	11
5	ბუდუჩნოსტი	95:90	17.11	16.12	75:83		68:71	2	5	513:529	9
6	პო ორტეზი	75:82	8.12	79:74	15.12	68:72		2	5	471:525	9

იტალიას თურქული შეეყარა



შოლე — პაოკ 48:66. შოლელ ნერსის ევოდოს (თეთრ ფორმაში) იანის იანულისი მეურვეობს

კახა სან ფერნანდო — პო ორტეზი 77:60. პოელი ვენსან მაზინგი (მუქ ფორმაში) და იგნასიო რომერო

ხესუს ხილი კალათბურთსაც გამოუჩნდა

ამ ბოლო დროს თურქებმა ძალიან დაიბრიყვეს იტალიელები. ორიოდე კვირის წინ საფეხბურთო „გალათასარაიმ“ საშინელ დღეში ჩააგდო „მილანი“ და ჩემპიონთა თასის მოპოვებაზე მოფიქრალი გუნდი ევროთასების მიღმა დატოვა. სტამბოლის „გალათასარაის“ მიერ დაწყებული იტალიელთა ჩაგვრა თანაქალაქელმა კალათბურთელებმა გააგრძელეს: ევროლიგის მეშვიდე ტურში „ეფესმა“ ბოლონიის „ფორტიტუდო“ გაანადგურა, ხოლო „ულქერმა“ „ვარეზეს“ მოუგო.

36-ქულიან მარცხს, არა, რა გამართლება უნდა მოუძებნო? მით უმეტეს მაშინ, როცა იტალიის ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობ, ევროლიგის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლები, ხოლო შენს მომგებს პატარა, მაგრამ მაინც კრიზისი უდგას? „ფორტიტუდოც“, ალბათ, წაგებაში საკუთარი თავის გარდა ვერავის დაადანაშაულებს, თუმცა გულში კი გაიფიქრებს: აბა, კარლტონ მაიერსი რომ მყოლოდა? კი ბატონო, მაიერსი „ფორტიტუდოს“ უმთავრესი და უძლიერესი ფიგურაა, ახლა ზურგის ტრავმის გამო ვერ თამაშობს, მაგრამ 36 ქულა?! ბოლონიელები მატჩის ბოლოს იმზელა ზრუნავდნენ, რომ „ეფესს“ 100 ქულა არ დაეგროვებინა და ამისთვის გვარიანი ოფლიც ღვარეს. ლაპარაკია „ეფესზე“, რომელსაც ახლახან შეეცვალა მწვრთნელი და, ფაქტობრივად, ხუთი მოთამაშე ჰყავს.

იბრაჰიმ ქუთლუაიმ პირველად გაამართლა ის დანახარჯი, რომელიც „ეფესმა“ მის შესაძენად გაიღო. მან 7 სამქულიანი ჩაუგდო „ფორტიტუდოს“. მას კარგად აჰყვა ჰიდაიეთ თურქოღლუ, რომელმაც 20 ქულასთან ერთად საიმედოდ ამოკეტა ბოლონიელთა ლიტველი არტურას კარნიშოვასი. ექვსი პასი გააკეთა (მთელ „ფორტიტუდოს“ ხუთი პასი ჰქონდა) ხორვატმა დამირ მულაომეროვიჩმა. ჰუსეინ ბეშოქმა 16 ბურთი მოხსნა. იუგოსლაველ პრედრაგ დრობნიაკს გამორჩეული სტატისტიკური მონაცემები არ დაუგროვდა, მაგრამ მეტოქის მაღლებმა ფარზე რომ ვერ იბატონეს, სწორედ მისი დამსახურებაა. ესეც მთელი „ეფესი“. შეცვლაზე შემოსულმა სამმა კალათბურთელმა (ონანი, ვექილოღლუ, სანჯარი) ჯამში 7 წუთი ითამაშა და 1 ქულა გააკეთა... თუმცა, ამას ახლა ყურადღებას არავინ აქცევს, სტამბოლელებმა მოიგეს, ხოლო ახალ მწვრთნელს ერგინ ათამანს ჯერ თამაში არ წაუგია. შეგახსენებთ, რომ ათამანი ახლახან გადავიდა „ეფესში“ „ქარშიაქადან“.

ახალი მწვრთნელი ჰყავს „ულქერს“, რომელმაც წლევანდელ ევროლიგაში მეორედ მოიგო (შინ — პირველად) და მეორეჯერაც „ვარეზესთან“. „ულქერის“ ყოფილი თავკაცი ჩეთინ ილმაზი წინა კვირაში გადადგა, მისი ადგილი კი „გალათასარაიდან“ გამოგდებულმა მურათ დიდინმა დაიკავა. დიდინმა პირველად ამ სეზონში დააყენა სასტარტო ხუთეულში უფუკ სარიჯა და, როგორც გაირკვა, სავსებით მართებულადაც. ეს კალათბურთელი შეეშველა უკანახაზელ ჯერომ ალენსა და ჰარუნ ერდენაის და ამ სამეულმა სამქულიანებით ამოუვსეს კალათი იტალიელებს. სუსტად ითამაშეს „ულქერის“ სასტარტო ხუთეულის მაღლებმა, ამერიკელმა კევინ რენკინმა და იუგოსლაველმა დეიან კოტუროვიჩმა. სამაგიეროდ, თავი გამოიდეს მათმა შემცვლელებმა, ნორჩმა ქერიმ გონლუმმა და გერმანელმა თურქმა თეომან ოზთურქმა. „ვარეზეში“, ტრადიციულად, ანდრეა მენეგინი გამოირჩეოდა. მას გვერდით დაუდგა ჯანმარკო პოცეკო, რომელსაც თმები არაბუნებრივ, დაახლოებით ფოსფორგარეულ სტაფილოსფრად შეუღებია. ამ დუეტის წყალობით „ვარეზემ“ მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გაათანაბრა (43:43), მაგრამ მერე „ულქერის“ უკანა ხაზმა იმძლავრა და სხვაობამ ერთხელ 12 ქულასაც უწია.

თურქეთში მწვრთნელები კი იცვლებიან, მაგრამ იქაური მისვლა-მოსვლა რას შეედრება იმ ამბავს, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ რომ ხდება! კლუბის პრეზიდენტმა ვოისლავ სტოიაკოვიჩმა თამამად შეიძლება განაცხადოს პრეტენზია „კალათბურთის ხესუს ხილის“ წოდებაზე. საფეხბურთო მადრიდის „ატლეტიკოს“ გიჟმაჟი პრეზიდენტისა არ იყოს, სტოიაკოვიჩიც წამდაუწუმ ცვლის მწვრთნელებს. 1996 წლის ზაფხულიდან, რაც ზორან სლავნიჩი დაითხოვეს, „ცრვენა ზვეზდას“ 12-ჯერ(!) შეეცვალა მწვრთნელი. ახლა გუნდს ვლადისლავ ლუჩიჩი წვრთნის, რომელიც თანამდებობაზე ორშაბათს დაინიშნა. წინა მწვრთნელმა, მომირ მილატოვიჩმა სულ ოთხი კვირა იმუშავა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ლუჩიჩმა ყველაზე მეტი წარმატება მოუტანა „ცრვენა ზვეზდას“: 1993 და 1994 წლებში იუგოსლავიის ჩემპიონი გახადა. მაშინ ლუჩიჩი პირველად თავკაცობდა ბელგრადულ კლუბს. ორი წლის წინ იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში „ცრვენა ზვეზდას“ და კორაჩის თასის და იუგოსლავიის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. როცა ფინალური სერიის ანგარიში 1:1 იყო, პრეზიდენტ სტოიაკოვიჩს თავში რაღაცამ წამოუარა და ლუჩიჩი დაითხოვა...

ლუჩიჩის მესამე მოსვლა ვერ გამოდგა იღბლიანი — მოსკოვის ცსკა-მ შანსი არ დაუტოვა იუგოსლაველებს და პირობითად მათ მოედანზე, რეალურად კი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში პირწმინდად მოუგო. რუს არმიელებს გამოუკეთდათ ბელარუსი სნაიპერი ვალერი დაინეკო, რომელმაც ექვსი სამქულიანი ჩააგდო (ექვსი სროლიდან).

ეს ტური უიღბლო აღმოჩნდა იტალიელთათვის (სამივე გუნდმა წააგო) და იღბლიანი — ესპანელთათვის (სამივე გუნდმა მოიგო). ამ ქვეყნების წარმომადგენლები ტრევიზოში შეიბნენ, სადაც „ბენეტონმა“ უმასპინძლა „ბარსელონას“. დაძაბული შეხვედრა გამოვიდა, პირველი ტაიმი 37:37 დამთავრდა. ხუთ ქულაზე მეტით წინ გასვლას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა. ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა, როცა ბარსელონელმა დუენიასმა საჯარიმოები ჩააგდო და თავისიანები 3 ქულით დააწინაურა.

კვლავ წააგო ევროლიგის ჩემპიონმა კაუნასის „ჟალგირისმა“. ეს გუნდი მატჩიდან მატჩამდე უკეთ თამაშობს, მაგრამ მოგებას მაინც ვერ ახერხებს. მადრიდის „რეალი“ კაუნასში გაბრაზებული ჩავიდა — „ჟალგირისმა“ წლეულს ერთადერთ გამარჯვებას სწორედ მადრიდში მიაღწია. „რეალმა“ კარგად დაიწყო და პირველი ტაიმი 39:32 დაასრულა თავის სასარგებლოდ. მეორე ტაიმის საწყისი ექვსი წუთი „ჟალგირისმა“ 17:3 მოიგო და თავად დაწინაურდა შვიდი ქულით (49:42). „რეალმა“ დაცვა გაამკაცრა, ფარზე უპირატესობა მოიპოვა და 36-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა (60:60). ორ წუთში კი „ჟალგირისის“ კალათბურთელებმა ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, რომელთა ფასი ექვსი ქულა იყო. ბოლო წამებზე კაუნასელები გააფრთდნენ, მინდაუგას ტიმინსკასმა სამქულიანი და ორი საჯარიმო ჩააგდო, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

სალონიკის პაოკ-ს ევროლიგაში მეტოქის მოედანზე უკანასკნელად 1997 წლის 25 სექტემბერს მოეგო. ამ ტურში კი ბერძნებმა ორწლიანი ნავსი გატეხეს და ფრანგულ „შოლეს“ სტუმრად შავი დღე აყარეს. შესანიშნავად ითამაშა ამერიკელმა ბილ ედვარდსმა.

მოიგო ათენის „პანათინაიკოსმა“ და კვლავაც წაუგებელია. გიორგოს კალაიძისმა თავიდანვე ორი სამქულიანი ჩაუგდო ბურსას „თოფაშს“ და თავის გუნდს ლიდერობა დაუბევა. „პანათინაიკოსმა“ ტაიმი 14 ქულით მოიგო (47:33), ხოლო მეორე 17 ქულითაც იგებდა. ათენელები მოეშვნენ და „თოფაშმა“ სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა. ამ მომენტში გაიბრწყინა ბურსელთა ამერიკელმა დევიდ რივერსმა, რომელმაც ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. თოფაშელებმა თამაშის გადასარჩენად შეგნებულად დაიწყეს ჯარიმების მიღება, ოღონდ არ გაუმართლათ: ისინი წესებს ერთთავად ჟელკო რებრაჩასა ან დეიან ბოდიროგას წინააღმდეგ არღვევდნენ. ესენი კი საჯარიმოებს იშვიათად აცილებენ. ბოდიროგამ 15 ქულას ხუთხუთი მოხსნა და პასიც დაურთო, შეუცვლელად ითამაშა და ევროლიგის ბომბარდირებსაც ლიდერობს მატჩში საშუალოდ 21,5 ქულით.

პოდგორიცას „ბუდუჩნოსტმა“ ბუდაპეშტში უმასპინძლა ზაგრების „ციბონას“ და მოლოდინის საწინააღმდეგოდ გაიმარჯვა. „ციბონამ“ შეწყვიტა ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია და ამაში ლომის წილი იუგოსლაველმა დეიან ტომაშევიჩმა (29 ქულა, 7 მოხსნა) და ბოსნიელმა ჰარის ბრკიჩმა (28 ქულა, 5 პასი) დაიდეს. ზაგრებელებმა კრსტიჩმა, პრკაჩინმა, სესარმა და ვრანკოვიჩმა მოედანი ხუთი ჯარიმის გამო დატოვეს.

მერაბ რატიშვილი

ᲐᲛᲐᲦᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ᲘᲥᲐᲣᲠ ტელემაყურებელს პირადული კაბელით შეუძლია ამ ორთაბრძოლის ხილვა, თუკი ორმოცდაათ დოლარს გადაიხდის. ამერიკაში უკვე კარგახანია ილაშქრებენ დიდი კრივის ტელევიზიით ჩვენების ამგვარი სისტემის წინააღმდეგ. მიგვიფურთხებია თქვენი რეკლამისა და ყველაფრის „საუკუნის ბრძოლად“ მონათვლისათვისო, ამბობს ხალხი, ბოლოსდაბოლოს, რა გახდაო, ერთი უცხოელი აყლაყუდა ეჩხუბება ერთ ბებერ ამერიკელსო.

ამან აღაშფოთა ჰოლიფილდი, რომელიც ღღეის ბრძოლის შედეგის მიუხედავად, 15 მილიონ დოლარს მიიღებს:

მსოფლიოს ორი საუკეთესო კაცი შევყრილვართ და ამის სახილველად ფული ვის დაენანებაო.

მთელი მსოფლიოს საკრივო ფსონებში ლუისი ფავორიტია. საშუალოდ, 8-5-ზე. ჰოლიფილდის ბანაკს ეს არ ადარდებს, რადგან მას, როგორც ქვემძიმე წონიდან მოსულ კაცს ეფექტური იერი არასოდეს ჰქონია. თუმც კი, ბოლო წლებში გვარიანად წაიმუშავა და შიშისმომგვრელი იერიც მიიღო. თუმც კი, ფეხები მაინც წვრილი დაურჩა, მაგრამ ეს არ უშლის, რომ კრივის ისტორიის დიად სახელად იგრძნოს თავი — მან ხომ სამჯერ მოიპოვა მძიმე წონის ჩემპიონის ტიტული. ასეთი რამ კი მუჰამედ ალის თუ მოუხერხებია.

ბრძოლის შემდეგ ლუისიც 15 მილიონ დოლარს მიიღებს. ფავორიტად გამოცხადებულს ახლა ჯანიც მეტი აქვს და უკეთესი მოკრივეცაა ვიდრე ჰოლიფილდი. თუმც კი, მისებრ მოქნილობას, ტაქტიკურ ჭკუას და სულიერ უტეხობას ვერ დაიკვეხნის.

რაც იყოს, იყოს. ამაღამ ყველაფერი გაირკვევა.





REUTERS ლას ვეგასიდან

ლენოქს ლუისი		ევანდერ ჰოლიფილდი
34	ასაკი	37
109,7 კგ	წონა	98,4 კგ
1,95 მ	სიმაღლე	1,87 მ
112 სმ	გულის ფიცარი (ამოსუნთქულზე)	109 სმ
117 სმ	გულის ფიცარი (ჩასუნთქულზე)	114 სმ
43 სმ	ბიცეპსი	40 სმ
46,9 სმ	კისერი	49,5 სმ
30,4 სმ	მუშტი	31,7 სმ
38 სმ	გეჭი	30 სმ
86 სმ	წელი	81 სმ
20,3 სმ	მაჯა	19 სმ
45,7 სმ	კოჭი	33 სმ

ᲑᲘᲝᲠᲜ ᲓᲔᲚᲘ ᲡᲝᲚᲢᲚᲔᲘᲙᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ

ᲐᲠᲘᲐᲜ სპორტსმენები, რომელთა მონაწილეობა მეორეხარისხოვან შეჯიბრებაშიც კი ერთბაშად აორმაგებს ამ შეჯიბრების რეიტინგს. სათხილამურო სპორტში თუ კი ვინმე განეკუთვნება ასეთთა რიგს ეს უწინარეს ყოვლისა ნორვეგიელთა კერპი, რვა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ბიორნ დელია. მით უფრო სამწუხაროა სულ ახლახან გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ტრონჰეიმის კერძო კლინიკაში ზურგის ოპერაცია გაუკეთეს ამ სახელოვან სპორტსმენს, რაც იმას ნიშნავს, რომ წლევანდელი სათხილამურო სეზონი ოლიმპიური ჩემპიონის გარეშე დაიწყება. ექიმები ვარაუდობენ, რომ ბიორნ დელი ვერც მსოფლიოს თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ამ ზაფხულს ზუსტად ასეთივე ოპერაცია გაუკეთეს მეორე ნორვეგიელ მოთხილამურეს, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონს თომას ალსგარდს, რომელიც იმავე რაიონში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ალსგარდი უკვე მთლიანად გამოჯანმრთელდა და შეჯიბრებებისთვის ემზადება.

დელი აგვისტოს მიწურულს ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა. იქიდან მოყოლებული ტრავმა სპორტსმენს სრული დატვირთვით ვარჯიშის საშუალებას არ აძლევდა, თუმცაღა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაინც გაიარა შეკრება იტალიის ჩრდილო მაღალმთიანეთში. ტკივილები, ცხადია, არ დაყუჩდა. ბოლო ორი კვირის მანძილზე კი მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ როგორც ნორვეგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ინგე ანდერსონმა აღნიშნა, ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა ოპერაციის გაკეთება.

— საწყენია, რომ ვერ შევძლებ წლევანდელ შეჯიბრებებში გამოსვლას, მაგრამ ეს არ იმოქმედებს ჩემს სამომავლო გეგმებზე. რა თქმა უნდა, დავრჩები სპორტში და რა თქმა უნდა, მონაწილეობას მივიღებ 2002 წელს სოლტლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებში.

— მართალია წლევანდელი სეზონი ერთგვარად გარდამავალია — მსოფლიოს ჩემპიონატი გაისად გაიმართება, ოლიმპიადა კი უფრო იქით — მაგრამ ბიორნ დელის არყოფნა ნაკრებში ერთობ არასასურველი რამ არის — თქვა ნაკრების მწვრთნელმა ანდერსონმა და დაამატა: — მსგავსი სერიოზული ტრავმები ოლიმპიურ ჩემპიონს არასდროს ჰქონია, ასე რომ „პაციენტის“ ამპლუაში ყოფნა მისთვის სავსებით ახალი და უჩვეულო რამ არის.

ბიორნ დელი

ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲯᲣᲚᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ“ უკვე იუწყებოდა საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასის დებიუტის შესახებ. სამთომოთხილამურეებს მორიგი სტარტი აშშ-ში, იუტას შტატის მაღალმთიან პარკ-სიტიში ელით. თუმცა ამინდის ჭირვეულობის (გააჩნია, ვისთვის არ არის ჭირვეულობა) გამო მსოფლიოს თასის მეორე ეტაპს, რომელიც 18-21 ნოემბერს უნდა გამართულიყო, შესაძლოა მასპინძელი გამოეცვალოს. როგორც თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის დირექტორმა სარა ლუისმა განაცხადა, პარკ-სიტიში ახლა თბილა, ძალზე ცოტა თოვლია და ამინდის პროგნოზიც ისეთია, რომ შეჯიბრების პარკ-სიტიში გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუმცაღა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეორე ეტაპს ჩაშლა ემუქრება. დათქმულ დროსა და დათქმულ სახეობებში მსოფლიოს მოთხილამურეთა ელიტას საშუალება მიეცემა თავისი ოსტატობა დაამტკიცოს, ოღონდ სხვა ადგილას. ეს სხვა ადგილი ასევე აშშ-ია, სავარაუდოდ კოლორადოს შტატში, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ვეილში, დაამატა ლუისმა.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲪᲣᲠᲑᲠᲘᲒᲔᲜᲘ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „როიტერმა“ ასწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა შორის დასახელა შვეიცარიელი სამთო მოთხილამურე პირმინ ცურბრიგენი. ლეგენდარული სპორტსმენის ანგარიშზე ოთხი გამარჯვებაა მსოფლიოს თასზე. შვეიცარიელის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მისი უნივერსალურობაა. იგი ერთადერთია ვინც სამთოსათხილამურო სპორტის ოთხივე სახეობაში — სლალომში, გიგანტურ სლალომში, სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. 1988 წელს კი კალგარის ოლიმპიადაზე თავის აურაცხელ კოლექციას კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე სანუკვარი ჯილდო — ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც შემატა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ

დადგა კრივის ჯერიც.

რახან ღღეს დიდი ბრძოლაა ლას ვეგასში და მძიმე წონაში ერთი ბობოქრობაა ატეხილი, ჩვენც გამოვეხმაუროთ. მითუმეტეს,რომ ახლა ნევადის ელექტრონულ ქალაქში ერთი ჩვენი ნაცნობიცაა — ამ ღამის ერთ-ერთი გმირის, ლენოქს ლუისის მენეჯერი ფრენკ მელოუნი.

წლეულს მელოუნი ორჯერ იყო საქართველოში, როგორც გიორგი კანდელაკის მენეჯერი და თავი ერთ ლაღ კაცად დაგვამახსოვრა. თან, ისეთ კაცად ჭკუა რომ შორს არა აქვს შენახული. ამ პატარა ტანის კაცმა კრივი ისე იცის, როგორც იმერელმა ბიცოლებმა ხაჭაპურის ცხობა. ფრენკი რომ დადიოდა აქ, ბევრს ოხუნჯობდა და მისი კვიმატი ენისაც ბევრი რამ დავიმახსოვრეთ, მაგრამ ახლა ამერიკაშია და ისე ამუშავებს ამ ენას, თმები დაგიდგება ყალყზე. კრივი კრივად და კრივი მხოლოდ რინგზე სატრიალო ამბავი არ არის. მის გარშემოც მრავალი რამ ხდება მნიშვნელოვანი და ეს ყველაფერი ერთ დიდ სანახაობას ქმნის. შოუო, რომ იტყვიან. შოუ კი რის შოუა, თუ იქ როლები არ განაწილდა. ფრენკსაც აქვს ასეთი როლი, ლუისის ამერიკაში ყოფნისას, ის ერთ აქტიურ და ახირებულ ბრიტს განასახიერებს ხოლმე. ეს ბრიტი გარშემომყოფთ ახსენებს — ჰეი, გლეხებო, ვერ ხედავთ? ჩვენ ანგლები მოვდივართ.

ამ გზაფხულზე ფრენკმა აგრესიულად იქაქანა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ბრიტანეთის დროშისგან შეკერილ კოსტუმში გამოეცხადა საზოგადოებას, რის გამოც ამერიკელებმა ყბად აიღეს.

ახლა ფრენკი ლას ვეგასშია და როლს არ ღალატობს.

რახან მოვიპოვეთ, შემოგთავაზებთ კიდეც მის რამოდენიმე გამონათქვამს ამერიკის რაობის შესახებ. თუმცა, არ დავივიწყოთ, რომ ეს ყველაფერი ლუისის ბანაკის სიძლიერისა და განსაკუთრებულობის გამოა ნათქვამი.

მაშ, მელოუნის აზრები:

„ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც თავისი სპორტის სახეობები აქვს (ბეისბოლი და მსგავსი სისულელეები)“.

„საჭმლისა არაფერი გაგეგებათ. ბუტერბროდების და სენდვიჩების გარდა ვერაფერს ამზადებთ. აქ რომ ჩინელები და იტალიელები არ ჩამოსულიყვნენ საჭმელი არ გექნებოდათ“.

„თქვენ გგონიათ, რომ ფულით ყველაფერს იყიდით“.

„საუკეთესო რამ ამერიკაში აეროპორტია. ჩაჯდები თვითმფრინავში და გაიქცევი“.

„ამერიკელი ქალები პირველები არიან მსოფლიოში, ოღონდ ბოლოდან. არასოდეს მომდომებია მათთან ყოფნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან ფართონი არიან. უფართოესნი“.

„მე არ მიკვირს, როცა ისინი ყვირიან პირველები ვართ მსოფლიოშიო“.

კარგი გასართობია, არა? მაგრამ შოუში წამოჭრილ კითხვებს, პასუხებიც სჭირდება. პასუხი კი ცნობილმა საკრივო კომენტატორმა რობ შერდანმა გასცა:

„არ გაგიკვირდეთ ასე რომ ამბობს. გახსოვდეთ მხოლოდ ის, რომ ფრენკი ახლა ამერიკაშია. გერმანიაში რომ იყოს, ზუსტად იგივეს ეტყოდა მათ. ბრიტები ასეთები არონ“ აი, შოუ.

აი, ჩვენი ფრენკ მელოუნი

ვინუსი საოცრებათა ქვეყანაში



ვინუს უილიამსი

ფილადელფია. აშშ. „ადვანტას ჩემპიონატი“. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 520 ათასი $

18 წლის ამერიკელ ალექსანდრა სტივენსონსა და მის სახელოვან თანამემამულეს, მსოფლიოს მეორე ჩოგან ლინდსი დევენპორტს გასაყოფი თითქოს რა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ...

წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში სწორედ ლინდსიმ გაანადგურა (6:1, 6:1), იქ კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილი ახალბედა, თან სტივენსონის დედის, ინტრიგანი სამანტას განცხადებას, ქალების ჩოგბურთი რასიზმისა და ლესბოსელობის ბუდეაო, „სიგიჟე“ უწოდა.

სწორედ ამიტომ „ფილადელფია 76“-ის კალათბურთელი სუპერვარსკვლავის, ჯულიუს ირვინგის ქალიშვილსა და დევენპორტის შეხვედრას „ადვანტას ჩემპიონატზე“ განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ.

თუმცა WTA ტურზე სხვასთან ერთად მეტისმეტი სიმაღლით გამორჩეული დიაცების (ორივე 180სმ-ზე მაღალია) ბრძოლა საინტერესო და დაძაბული არც ამჯერად გამოდგა.

12 ეისისა და მძლავრი ფორჰენდის ხარჯზე სტივენსონი უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე უიმბლდონზე, მეორე სეტში ერთი პირობა 3:2-თაც დაწინაურდა, მაგრამ ის მოახერხა, რომ საბოლოო ანგარიშს ოდნავი დამაჯერებლობა შემატა — 6:2, 6:3 დევენპორტის სასარგებლოდ.

ბადესთან მეტოქეებმა ცივად, სიტყვის უთქმელად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. „ალბათ, მის დასამარცხებლად ბევრი მატჩი დამჭირდება. აი, მერე კი მინდა, სულ მოვუგო და მოვუგო — არ დაუმალავს მუდმივად მოხითხითე სტივენსონს პრესკონფერენციაზე — მე ყოველდღიურად რაიმე ახალს ვსწავლობ და ჩემს მეტოქეებს უჯობთ, გაისად მიფრთხილდნენ“.

დევენპორტი მაინცდამაინც აგრესიულად განწყობილი არ ყოფილა მატჩის შემდეგ: „ვფიქრობ, ის კიდევ მოუმატებს. როდესაც აწალგაზრდა ხარ, ყოველი წაგებიდან რაიმე ახალი უნდა ისწავლო. მისი დამარცხება მინდა, რადგან ისიც ამერიკელია, მაგრამ ამჟამად გაცილებით სერიოზული მეტოქეებიც მყავს“.

მსოფლიოს მეორე ჩოგანს ფილადელფიაში კიდევ ერთი საფიქრალი აქვს: ქრონიკულად ტრავმირებული მაჯა, რის გამოც ბოლო თვე გაუცდა. „ამ წუთში არა მიშავს. ერთი თვის წინ მეგონა, რომ წლეულს საერთოდ ვეღარ ვითამაშებდი, ამიტომ აქ ყოფნითაც კმაყოფილი ვარ. მაჯა ნაკლებად მაწუხებს, მაგრამ მზად ვარ, მტკივნეითაც კი ვიასპარეზო“.

მცირე შესვენების შემდეგ პირველად გავიდა კორტზე ვინუს უილიამსიც. მესამედ განთესილ ამერიკელს მეორე წრეში მეტად უცნობი მეტოქე ჰყავდა, კლასიფიკაციით 561-ე, 16 წლის ჩეხი დანიელა ბედანოვა, რომელიც ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვდა.

დაკუნთულ უფროს უილიამსს ჯან-ღონით ძნელად თუ გააკვირვებ, მაგრამ მისთვისაც კი მოულოდნელი გამოდგა ბედანოვას დარტყმების სიძლავრე. ჩეხი პირველ სეტში 4:2-ით დაწინაურდა, სანამ ვინუსმა ტაქტიკა შეცვალა, ბადესთან ხშირ გასვლებს მიჰყო ხელი და მატჩში გარდატეხა შეიტანა — 6:4, 6:1.

„საკუთარი მოწოდება რამდენჯერმე დავკარგე, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში უამრავჯერ აღმოვჩენილვარ და არ გავნერვიულდი. ეს რამდენიმე კვირაა, ბადესთან თამაშზე ბევრს ვვარჯიშობ და ეს ძალიან გამომადგა“ — აღნიშნა ამერიკელმა.

ბოლო ხანებში უილიამსების ოჯახში ჩოგბურთზე მეტი დრო სხვა საქმიანობას ეთმობა: ვინუსიცა და სერენაც მოდის დიზაინის კურსებს გადიან ფლორიდაში და დილიდან საღამომდე თავგადაკლულად მეცადინეობენ.

„სკოლაში ყოფნა ძნელია. იქ ხვდები, რომ ჩოგბურთი ნამდვილად საოცნებო სამყაროა. სხვაგან ხალხი სამუშაო ადგილის საშოვნელად და საარსებოდ იბრძვის, რაც თამაშზე გაცილებით მძიმეა. აქ კი მოგებას ვაპირებ, ზედმეტი ტიტული ნამდვილად არ მაწყენდა“.

მარცხით დაასრულა თავისთვის საკმაოდ წარმატებული სეზონი ჯენიფერ კაპრიატიმ. ყოფილ ვუნდერკინდს ტურნირის მოგებით მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ეძლეოდა და მერვედფინალში ფრანგ ნატალი ტოზიასთან (4) გადამწყვეტ ხელში 5:2-თაც დაწინაურდა, სანამ დაწყობილი გეგმები არ ჩაეშალა.

„5:2-ზე მსაჯმა მის სასარგებლოდ უხეში შეცდომა დაუშვა და იქიდან მოყოლებული ნატალის ბურთი არ აუცილებია. ჩემი ბრალი არაფერი იყო, იგი ათამაშდა შესანიშნავად. ჩოგბურთში ასეც ხდება-ხოლმე, ეს ზვავის ეფექტი იყო — თავი იმართლა კაპრიატიმ — გული არ დამწყვეტია. ამ სეზონში საკუთარ მიზნებს გაცილებით გადავაჭარბე“.

ტოზიამ კი, რომელმაც ბოლო 3 კვირაში 2 ტიტული მიითვალა, 6:4, 3:6, 7:5 მოიგო.

მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 6:0; ული ალარი (5, საფრანგეთი) — მარი ვენტო (ვენესუელა) 6:1, 6:4; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — დომინიკ ვან რუსტი (7, ბელგია) 6:4, 6:4; ემი ფრეზერი (აშშ) — ჟესტინ ენენი (ბელგია) 7:5, 6:4; ლაიზა რაიმონდი (აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 2:6, 6:3, 6:3.

სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 800 ათასი $

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰანოვერში სათადარიგო მოთამაშის ადგილს ჰოლანდიელი რიჩარდ კრიაჩეკი დაიკავებს — სტოკჰოლმში მოასპარეზე მისი ორივე კონკურენტისთვის მერვედფინალი გადაულახავ დაბრკოლებად იქცა.

გერმანელ ტომი ჰაასს კრაიჩეკის გასასწრებად შვედეთის დედაქალაქში ფინალისთვის მაინც უნდა მიეღწია, მაგრამ მეორე წრეში მასპინძელ მაგნუს გუსტაფსონს ვერაფერი დააკლო. მატჩის დასაწყისში ჰაასს მაინცდამაინც მონდომებულისა არაფერი ეტყობოდა და მხოლოდ მეორე სეტის ბოლოს გამოცოცხლდა, როდესაც ვეტერან შვედს დაღლა დაეტყო, თუმცა უკვე გვიანი იყო: 3:6, 6:7(7:9).

მეორედ განთესილი ტიმ ჰენმანის ამოცანა უფრო მძიმე გახლდათ — მას ჰანოვერის საგზურის მოსაპოვებლად ტურნირი აუცილებლად უნდა მოეგო, არადა, წლეულს ანგარიშზე ერთი ტიტულიც არ ერიცხებოდა. ინგლისელმა ნავსი ვერც ამჯერად გატეხა, თავისთვის მეტად უსიამოვნო მეტოქე ჟან-მაიკლ გემბილთან 5:3-დან ზედიზედ ექვსი გეიმი და მასთან მესამე პირადი შეხვედრაც დათმო 5:7, 3:6.

„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. უიმბლდონიდან მოყოლებული ხეირიანი არაფერი გამიკეთებია. იმედია, ამ წარუმატებლობას დავივიწყებ და გაისად უკეთ ვითამაშებ“ — მანამ კი ჰენმანს დეკემბრის დასაწყისისთვის დანიშნული ქორწილი და თაფლობის თვე ელის საცოლე ლუსისთან ერთად, რამაც ნამდვილად უნდა დააივიწყოს ყველა უსიამოვნებები კორტზე.

მერვედფინალი: ტომას ენკვისტი (1, შვედეთი) — იენს კნიშილდი (გერმანია) 6:2, 6:4; ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) — ფილიპ დევეულფი (ბელგია) 5:7, 6:3, 6:3; მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:2; მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 5:7, 6:3, 7:6(7:1); ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:3, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:4, 6:4.

მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი“. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 1,05 მილიონი $

მერვედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 7:5; ანდრეი მედვედევი (6, უკრაინა) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 4:6, 6:4, 6:1; მარკ როსე (7, შვეიცარია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; ბაირონ ბლეიქი (ზიმბაბვე) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 7:6(7:4), 3:1 — ტრავმა; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 5:7, 6:1, 7:6(8:6); ნიკოლა ეტაჟდე (საფრანგეთი) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:1, 3:6, 6:3.

ავთანდილ სვანიძე



ტიმ ჰენმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS მონრეალელებიდან

მონრეალელთა მეკარემ ჯეფ ჰეკეტმა სიხარულით „ლეკური“ დაუარა

ოტავამ გამოიტირა: იაშინიც და თამაშიც

11 ნოემბერი

ბოსტონი — ტორონტო 4:3

0:2 1:1 2:0 1:0

0:1 ხრისტიჩი 14'37 (4); 0:2 ჰოგლუნდი 17'48 (9); 1:2 კარტერი 24'24 (3); 1:3 ბერეზინი 31'53 (8); 2:3 ანდრეიჩუკი 49'58 (12); 3:3 ანდრეიჩუკი 56'31 (13); 4:3 აქსელსონი 63'58 (2)

პეტერ აქსელსონმა მხოლოდ მესამე ცდაზე მიაღწია საწადელს და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა. ბოსტონის შვედმა ფორვარდმა მესამე პერიოდში, როცა ანგარიში 2:3 იყო, ორი ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა და მისი ბედი, რომ ბრწყინვალედ მოასპარეზე დეივ ანდრეიჩუკმა გადაარჩინა. 36 წლის ფორვარდი 13 შაიბით იარომირ იაგრს დაეწია. აღსანიშნავია, რომ ეს ამ მეტოქეთა პირველი შეხვედრა იყო მას შემდეგ, რაც დმიტრი ხრისტიჩი ბოსტონიდან ტორონტოში გადავიდა.

ვაშინგტონი — რეინჯერსი 4:5

1:1 2:2 1:1 0:1

1:0 კლიმი 2'33 (1); 1:1 ნედვედი 6'30 (5); 2:1 ოუთსი 24'50 (1); 3:1 საკო 32'59 (2); 3:2 იორკი 33'56 (6); 3:3 იორკი 38'50 (7); 4:3 კ. იუჰანსონი 46'39 (3); 4:4 ნედვედი 59'41 (6); 4:5 ტეილორი 61'04 (3)

სახიფათო მომენტების გაფლანგვა ვაშინგტონს ერთობ ძვირად დაუჯდა. გარდა იმისა, რომ მასპინძლებმა ბულიტი ვერ გამოიყენეს, რამდენჯერმე ასპროცენტიანი შანსიც დაკარგეს და მაშინ, როცა სულ წინ იყვნენ, მაინც დამარცხდნენ.

ოტავა — ნეშვილი 1:2

1:1 0:1 0:0

1:0 რედენი 1'24 (4); 1:1 ჯონსონი 14'32 (3); 1:2 ვალიჩეკი 36'02 (5)

რობ ვალეჩეკი სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება გუნდისთვის. ზედიზედ ორ მატჩში სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი შაიბები. აღსანიშნავია, რომ ოტავამ, რომელიც საბოლოოდ შეეგუა ალექსეი იაშინის დაკარგვას, ბოლო დღეებში ორი ჰოკეისტი შეიძინა. კლუბთან მრავალწლიანი კონტრაქტი ჯერ 34 წლის ცნობილმა მცველმა ბობი დოლასმა გააფორმა, რომელიც შარშან პიტსბურგში ასპარეზობდა და ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა, მერე კი, მატჩის დღეს, „სენატორებმა“ ტამპიდან ბრიუს გარდნერის ნაცვლად პერსპექტიული ფორვარდი კოლინ ფორბსიც შეიმატეს.

ფილადელფია — კაროლინა 4:1

0:1 3:0 1:0

0:1 ბატალია 6'03 (6); 1:1 ლინდროსი 21'00 (6); 2:1 დეფორდენი 31'10 (6); 3:1 ბაკარტი 36'10 (3); 4:1 რეკი 59'14 (8)

ერიკ ლინდროსი შეუჩერებელია — ბოლო 5 მატჩში უკვე 10 (2+8) ქულა მიითვალა. ბოლო ხანს უხეიროდ მოთამაშე კაროლინას კი სანუგეშოდ ლიდერის — რონ ფრენსისის 1050-ე პასი შერჩა, რომლის წყალობითაც ვეტერანმა ლეგენდარულ გორდი ჰოუს გაუსწრო.

ლოს ანჯელესი — კოლორადო 5:2

2:1 1:0 2:1

1:0 პალფი 7'24 (8); 2:0 ტუომაინენი 8'16 (4); 2:1 დინგმანი 17'25 (2); 3:1 ციპლაკოვი 37'03 (1); 4:1 ბერი 44'48 (1); 4:2 კლეიმი 46'12 (3); 5:2 ციპლაკოვი 57'08 (2)

ორი წამყვანი ფორვარდის არყოფნაში ლოს ანჯელესის ლიდერობას ზიგმუნდ პალფიმაც (1+2) ჩინებულად გაართვა თავი, სტუმართაგან კი მატჩისწინა მოთელვაზე დამავებული ჯო საკიკი ვერავინ შეცვალა.

მონრეალი — ანაჰაიმი 2:1

1:0 1:1 0:0

1:0 რუჩინსკი 10'21 (6); 2:0 ჟოლტოკი 23'47 (1); 2:1 კალენი 29'16 (5)

„ჩვენ ძალიან მძიმე დღეები გადავიტანეთ, მაგრამ ყველაფერს გავუძელით და დღეს ვიყოჩაღეთ კიდეც“ — გამარჯვებით გულწრფელად ხარობდა მონრეალელთა მეკარე ჯეფ ჰეკეტი. ჰქონდა კიდეც აბის საბაბი — კრიზისში მყოფ კანადელთათვის (მანამდე 9 მატჩში 1 ქულა) ახლა ყოველი ქულა ძვირად ფასობს.

სამველ ღარიბიანი

ᲕᲧᲘᲓᲘ
„ფიშერის“ უხმარ თხილამურებს
☎ 69 19 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

I დივიზიონი

XVIII ტური

გრიმსბი — ჩარლტონი 2:5; იფსვიჩი — ტრანმერი 0:0; სუინდონი — ნორვიჩი 0:0; უოლსოლი — პორტ ვეილი 0:0

II დივიზიონი

XVII ტური

ბრენტფორდი — სკანთორპი 4:3; კემბრიჯი — ლუტონი 3:1; კარდიფი — ჩესტერფილდი 2:1; ჯილინგემი — ბორნმუთი 4:1; მილუოლი — რექსემი 0:0; პრესტონი — ნოტსი 2:0; უიგანი — უიკომბი 2:1

III დივიზიონი

XVII ტური

დარლინგტონი — ტორკი 1:1; კარლაისლი — პიტერბრო 1:1; ჰალიფაქსი — ექსეტერი 1:0; ლინკოლნი — იორკი 4:2; ნორთჰემპტონი — ჩელტენემი 3:2; როტერჰემი — ლეიტონი 0:1; შრიუსბერი — სუონსი 1:1; საუთენდი — ჰალი 1:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

XIX ტური

ლე მანი — ტულუზი 1:1; ნიორი — ვასკეალი 0:0; კაენი — ლუანი 6:1; კანი — შატორუ 0:1; ვალანსი — აიაჩო 1:2; ლორიანი — ნიცა 0:1; გენიონი — ნიმი 3:1; სოშო — ლავალი 0:2; ლილი — გენგამი 2:0; კრეტეი — ამიენი 1:0

იტალია

სერია B. XI ტური

ატალანტა 2:0 სალერნიტანა

ავსტრია

XX ტური

ტიროლი 1:0 ლინცერი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

პლეი ოფი. I წრე

პოლონეთი 2:1 თურქეთი

REUTERS

რას ფიქრობს შირერი?

დღეს პლეი ოფის პირველი მატჩია, შოტლანდია-ინგლისი. ემაგ ბალახს რომ ნჯავს მხართეძოზე წამოგორებული ინგლისელთა კაპიტანი ალან შირერი, თვალი არ ეცეს — „ჰემპდენ პარკზეც“ ბალახის ჭამამ არ მოუწიოს და სქოთთა ქვეყნიდან ხახამშრალი არ დაბრუნდეს.

REUTERS მაიამიდან

როდმანი ჩხუბობს

ბობოქარი დენის როდმანი დეტექტივებს გამოჰყავთ მაიამის ერთ-ერთი სასტუმროს უბნიდან, მას შემდეგ, რაც ორიათას ხუთასი დოლარი გადაუხდევინებიათ. როდმანსა და მის ცოლს, თუ რაღაცას, მსახიობ კარმენ ელექტრას ისე უჩხუბიათ თავიანთ სასტუმროს ნომერში, რომ ყველაფერი დაულეწიათ

დედოფალი აფრიკაში

მეორედ გახლავთ სამხრეთ აფრიკაში დედოფალი ბრიტანიისა და თანამეგობრობისა ელისაბედ მეორე და იქ ამ თანამეგობრობის დიდი შეხვედრა უნდა გახსნას, თუმც კი, არ ივიწყებს საზოგადო საქმესაც. იოჰანესბურგის ახლო ზანგურ ქალაქ ალქსანდრას სწვევია და იქ კრიკეტის ახალ მინდორს ათვალიერებს. დედოფალს მარცხნიდან მარჯვნივ ხლებიან სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრი ნგკონდე ბელფური, ალექსანდრას მერი ჯუსტის ჰლომოკა-ნგიდი და სოუეტოს მერი აიზეკ მოკგასი.

REUTERS ალექსანდრადან

REUTERS ლას ვეგასიდან

აწონ-დაწონე, ლენოქს...

გუშინ რომ ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის აწონვა გაიმართა, აპარატები მრავლად აჩხაკუნეს. ამ სურათისთვის ევებ გვეწოდებინა „აწონვის მოლოდინში“, რახან აწონვის მოლოდინში, ლენოქსს სასტუმროს მშვენიერი თანამშრომლები დაესხნენ თვალწინ. მართლაც, ღირდა აწონ-დაწონვად. ანუ, დღეს რომ დიდი ბრძოლა არ იყოს, გუშინ ლუისი ერთი კარგად გაინავარდებდა.

ყინულის განცდები

ჰოკეის ეროვნული ლიგის თამაშები იმდენ გზნებასა და ამბავს მოიცავს, რომ ერთი კალამი ვერ გასწვდება. აი, თამაშობენ „ვაშინგტონ კეპიტალზი“ და „ნიუ იორკ რეინჯერსი“. ნიუ იორკელთა მეკარე მაიკ რიხტერი მთავარ მსაჯ მიკ მაკგაფს ედავება, ჩემს კარში გატანილი გოლი არ უნდა ჩავეთვალაო.

REUTERS ვაშინგტონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბჳლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli